წამით არ დაივიწყო
შენი მოვალეობა.
თუ მტერს თვალი უჭირავს
ტფილისზე და ბაქოზე –
მხნედ და შეურყეველად
იდექ საგუშაგოზე“!
განა მისთვის ამშვენებს
მას წითელი ორდენი,
დაჰყვეს მედიდურება
თუნდაც მცირეოდენი?

## ხუთწლედი ოთხ წელიწადში

არა გადაზვირთება,
არა სიტყვა ლიტონი –
ჩვენს ქვეყანას სჭირდება
უამრავი ლითონი.
ნიავქარს არ აჩუქო
ერთი წამი ან წუთი,
ჩვენს ქვეყანას სჭირდება
მანქანა და მაზუთი.

შრომა არ შეანელო –
ტემპები დაახშირე,
რადგან მხარეს სჭირდება
შავი ოქრო, ნახშირი.
გაუმკლავდი ამ შრომას,
წინათ რომ ვერ უძლებდი,
მორჩეს ოთხ წელიწადში
დასახული ხუთწლედი!

## მოდის მშენებელი,
## მოაქვს აგურები

მოდის მშენებელი,
მოაქვს აგურები,
შეუნელებელი
მოაქვს მშენებლობა.
მოდის და ციფრების
ალით ნახურები
ტემპებს ეჯიბრება
შეუსვენებლობა.
მაგრამ აგურია
ზოგი მშენებლის,
ავაზაკურია,
მჩატე, ბორძიკული;

აგებს საპყრობილეს
ვინმე მავნებელი,
თვალებაპყრობილი,
როგორც მოციქული.
მისით აგებული
ციხე-ეკლესია
დროა წაგებული...
კმარა ბრჭყვიალება!
მასაც გაისტუმრებს,
როგორც ეს წესია,
სოციალისტური
შემოტრიალება.
მოდის მშენებელი,
ამბობს: სიდან-სადით
გაჩნდა მავნებელი?
ვიწვი ნაყურები.
ჰა გზა, ჰა ქურები
ხუთი წელიწადით
აი, აგურები,
მართლა აგურები!
სოფლებს და ქალაქებს
აგებს მშენებლობა,
ტემპებს ეჯიბრება
შეუსვენებლობა!

* * *

ნათქვამია – ხელი ხელს,
ორივე კი პირსა ჰბანსო,
გეგმა უნდა შევასრულოთ
საწარმოო-საფინანსო.
დაკვრით ვნახოთ, რასაც იქმს
დღე ღამით და ღამე დღისით,
რიგი რიგებს, რიგი რიგს,
რომ შეივსოს დანაკლისი.

ჩამორჩენილობა – ძირს!
ყოველ მანქანაზე მდეგმა
უნდა სძლიოს ყველა ჭირს,
უნდა შეასრულოს გეგმა!

* * *

აი, გეგმაც: აბა მოდი,
სუფთა ხელთათმანით!
წყნარზე წყნარი, მშვიდზე მშვიდი
თეთრი პირისკანით.
ციფრი – სვეტი, ციფრი – ფერი,
ციფრი, ციფრი ქარის,
ამ ციფრებში ყველაფერი
თავის რიგზე არის.
მოდიოდა სუფთა, თეთრი
და უეცრად, შემდეგ
გზაზე შეხვდა მას შემხვედრი
მქუხარე ხმით: შესდეგ!
აბა, დადექ და მიჩვენე,
ეგ შენა და ეგ მე.
შევადაროთ ეხლა ჩვენი
საწარმოო გეგმა.
შეადარეს, შეასწორეს
იქვე სიახლოვეს,
პირველსა და შემდეგს შორის
განსხვავება ჰპოვეს.
არ ვარგაო, ამბობს მხვედრი,
ეს სიგრძე და განი,
არ მომწონსო ასე თეთრი
შენი ხელთათმანი.
მეტი თუჯი, მეტი სისქე
არის უმჯობესი.
საწარმოო თათბირისკენ,
აბა, ვნახოთ გეზი.

და შემხვედრმა შეცვლილ ნირით
შესძრა გეგმა – რიგი.
შემოიბა და ბუქსირით
წაიყვანა იგი.

* * *

ატესტატის წყალობით,
თვალმაქცური
სიტყვებით და გალობით –
სათავეში უდგა დაზგებს მუდამ.
ერთხელ, ღამით,
ის სალაროს ქურდავს,
და კედელზე
ცინიკურად, ცარცით სწერს:
„აღარა მაქვს
საგულეში გული,
მომაშველე,
ო, ევროპა, ფული!..“
რამდენია
მისი მსგავსი ტიპი,
ევროპაზე
რომ ამყარებს იმედებს,
მავნებლობას
მიჭრილი აქვს ჭიპი,
ნუ იფიქრებ, რომ ის
არ გაგიმეტებს.
ჰქონდათ კლუბი
და ნამდვილად სურდათ
გადამთიელ
გმირთან ძაფის გაბმა.
მაგრამ ბევრჯერ
მისცა მასსამ ხურდა,
არ იძაფა
მავნებლობის ძაფმა.

მაგრამ იგი
არ უდრკება სიცხეს,
მისი გული
ისევ ღელვას
იწყებს,
როს ევროპა
ეხმარება ფულით.
ის მზად არის
სულითა და გულით
შემდეგშიაც
გამოგზავნოს თანხა.
აღმოსავლეთს
გადააქცევს ჯანყად,
მავნებელს სხვაც
შეცდომაში შეჰყავს,
ლაპარაკობს მედგრად
ენამჭევრი:
„ევროპიდან
მივიღეო ცნობა,
აქ გვესმისო
თქვენი დიდი ძმობა,
იმუშავეთ,
ნუ დაზოგავთ თავსო.
დააკვირდით
ხალხის კარგს და ავსო
და ისე კი,
ხელუხლებელ ფონდათ,
ჩვენგან დიდი
იმედები გქონდეთ.
რა მოგვცაო
ხვალემა და ზეგმა,
დღესვე შევქმნათ
სამოქმედო გეგმა,
დიამეტრად სხვანაირი,
ვინემ
გაგვიშალა აქაურმა
ვინმემ.

რა თქმა უნდა,
ჩვენ ვიქნებით მშვიდი,
ეს იქნება
საიდუმლო დიდი.
ჭერქვეშ
თუ დღის სინათლეზე, მარად,
ერთსულოვნად,
მედგრადა და ჯარად,
აქაც, იქაც,
ყველგან ვიყოთ, რომა
სასურველად
დაგვირგვინდეს შრომა“.
და დაიწყო,
აგერ მიდის გლეხი,
გლეხური აქვს
ხელიცა და ფეხიც.
უეცრად
წინ გადაუდგა ვიღაც
და არწმუნებს:
„ყური მიგდე, მიხა,
რისთვის გინდა
ეს ტრაქტორი შენა,
გეხერხება
ისეც თავის რჩენა,
ეს ახალი ინვენტარი კიდევ
არ ყოფილა,
რომ მშვენივრად მკიდენ.
ეს ტეხნიკაც
ტეხნიკაა მშრალი.
ევროპისკენ დაიჭირე თვალი.
კოლექტივში
მეურნეს რა უნდა?
მიქარვაა!
მისცხეთ ქვა და გუნდა.
ყური უგდეთ,
რასაც იტყვის მღვდელი,
იგი არის

ქრისტეს სიტყვის მთქმელი.
ბობოლასაც
დაუჯერე შენა,
ჭკვიან რამეს
გეტყვის მისი ენა.
არ ერწმუნო
არც ეხლანდელ გაზეთს,
ჰაეროპლანს,
ავტოს და სხვა ასეთს.
მამა-პაპა
არა ცაში ცურვით,
ხომ იოლად
მიდიოდა ურმით?
ვინმემ მითხრას,
ყმამა ანუ ბეგმა,
ვისთვის უნდათ
ხუთწლიანი გეგმა?
ხუთ წელიწადს
მთავრობა ვერ გასტანს.
კაცი კაცთან,
ძმა ვერ ცხოვრობს ძმასთან“.
და, გრძელდება...
აგერ მიდის მუშა;
კარგადაა
საქმე, არა უშავს.
უეცრად წინ
გადუდგება კაცი.
ეუბნება:
„წასულია აწი
თქვენი საქმე, ამხანაგო მუშა!
მთავრობა გთვლისთ
გერადა და ბუშად“.
აი, რას სწერს
პანაიტი (კაცი
პოეტია, არც თუ ისე
მკაცრი):
კავშირშიო

დაჩაგრული არის
მხოლოდ მუშა,
მსგავსი მომთაბარის,
და მხოლოდ ის,
ის ყველაზე მეტით,
გაპარტახდა
ამდენ ჭაპან-წყვეტით“.
და, გრძელდება...
გზა მიეცით ენებს,
მიაჭენებს,
მოაჭენებს ფენებს.
ბევრი კიდეც
წამოეგო ანკესს:
შემპარავს და
მაძინებელ ჰანგებს.
და, გრძელდება...
გულს ამბებით ნატკენს
აყოლებს რა,
დიაგრამებს ადგენს,
ანდა კიდევ
კაბინეტში დინჯად
ფართო რუქას
ევროპისას შინჯავს.
ქინძისთავებს
ნიშნავს ცენტრებს, თავში,
სადაც თითქო
ამყარებენ კავშირს.
და, გრძელდება...
ხევენ კედლის გაზეთს
შეუმჩნეველ
და იდუმალ ბრაზით;
სწორედ იმ სვეტს,
სად ეცემა მუქად
ხუთწლიანი
გეგმის მკვეთრი შუქი.
სპობენ წიგნებს
ყველგან, სადაც რომა

იმ ხუთწლიან
გეგმაზეა თხრობა.
აგერ მიდის
მოხსენება, თემა:
რა უნდა ჰქნას
ხუთწლიანმა გემმა.
უცებ ჩნდება
ხულიგანი ღამით –
მოხსენებაც
ჩაიშლება წამით.
დაერევა
არტისტებს და მხატვრებს,
ტერორის ქვეშ
დააყენებს კადრებს.
მოიმარჯვებს
ბუტაფორულ დაშნას,
ხელს შეუშლის
შეჯიბრების გაშლას,
ხელს შეუწყობს,
რომ გაცდენილ დღეებს
ატარებდენ
გამოუვალ ტყეებს.
ჩამობნელდა,
ელექტრონის ქარტა,
კინო-დადგმა,
კონცერტები,
ფარდა.
განადგურდა
უცებ პოლიტ-ლოტო.
(მოსყიდულო ხულიგანო,
ლოთო!),
მაგრამ მხარეს
და ფაბრიკის ცეხებს,
სამრეწველო რაიონებს,
გლეხებს
ვერ აფერხებს
საოცრება რთული.

„მოგვაშველე, ო,
ევროპა, ფული“.
და გრძელდება...
ანარხიის მთოველს
გაუმარჯოს
უგეგმობას ყოველს.
ძირს ხუთი წლის
გეგმიანი შრომა,
განადგურდეს
მეურნეთა ნდომა,
დიაგრამებს
წააწერეთ – 0,
უწდომელი
ფანტასტიკა – 0,
კოლექტივის საქმეებსაც – 0,
ერთი სიტყვით,
სულ ნოლი და ნოლი.
აპოლონის სამსხვერპლოსთან სტირის
ეხლა „წმინდა ხელოვნების“ გმირი.
მათი გეგმის
დევიზია რთული:
„მოგვაშველე, ო, ევროპა, ფული!“
ღვინოს არ ვსვამდი,
ეხლა დავიწყე,
ვარ სევდიანი
და გულმავიწყი.
მინდა ჩავფუშო
ხუთი წლის გეგმა,
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული!
თვალი იცრება,
პრესა ხმაურობს,
რომ იგი მუშებს
აწინაურებს:
აწინაუროს.
დღე მოვა კრული,
გამოგვიგზავნე,

ევროპა, ფული!!!
და მრწამს ერთი
ღმერთი ჩვენის მსგავსი,
შეისწავლეთ
ამნაირი მრწამსი:
მრწამს ყოვლის შემძლე,
ყოველგან მყოფი,
რომლის სახელი
არის ევროპა.
მრწამს მისი დროშა,
ხმალი და თოფი,
მრწამს მისი ლიგის
ენამჭევრობა.
მრწამს იმისი გზა
ომის და ძლევის,
მრწამს მისი ოქრო
შვენებით სრული.
არ ვუღალატებ
არასდროს დევიზს:
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული.
მრწამს მე ევროპის
ბრწყინვალე ღერბი,
მრწამს მშვენიერი
იმისი ჩანგი,
მრწამს მისი სული
ჯიუტი, კერპი.
მრწამს მისი გაზი,
ტყვიები, ტანკი.
მრწამს ის, მათრახად
სახელდებული,
მრწამს ის, მუშებზე
გამარჯვებული,
მრწამს, მარადის მრწამს
თქმა დიდებული,
ო, მოგვაშველე,
ევროპა, ფული!

მრწამს კოლონიის
აწიოკება,
მრწამს ინდოეთის
სიმდიდრე-განძი.
მრწამს სამუდამოდ
მოითოკება
ეგვიპტის ხლართი,
აფრიკის კვანძი.
მრწამს ლოურენსის
წანწალი, თრევა,
მრწამს ფაშისტების
ჰანგი ქებული,
მრწამს რომის პაპის
ლოცვა-კურთხევა,
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული!
მრწამს, მრწამს გავლენა
ევროპის კრეზის,
მისი ამაგი,
დიადი ღვაწლი.
მრწამს სასამართლო
და მისი ციხე,
პატიმარს სუნთქვას
ხომ არ დააცლის.
მრწამს საოცარი
ელექტრო-სკამი,
მრწამს ეშაფოტი,
ცხედრებზე რგული,
მრწამს ევროპის დღის
ყოველი წამი,
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული!
ო, მოგვაშველე,
ევროპა, ფული!
მრწამს, საბოლოოდ
რომ შეიქნება
შეერთებული

ევროპის შტატი,
მრწამს: მომავალი
ომების ცეცხლში
იქნება მათი,
ვის ხერხემალი
ექნეს მოქნილი,
იმას საგულეს
ექნება გული,
სხვა ხერხემალი
ფუჭია, ტყვილი,
ხერხემალია
ევროპის ფული...
გამომიგზავნე
ევროპა, ფული!
ო, მოგვაშველე,
ევროპა, ფული!!“

* * *

წავიდეთ ქარხნებში, ავტეხოთ განგაში,
მუშებო, შეხედეთ რამდენი –
ევროპის ტყვიებში, გაზებში, ტანკაში
ხსნას ელის სიყალბის ჩამდენი!
სურს დახრწნას სიმაგრე აგურთა,
აგვიკლო, ქვეყანა გაქურდა!
გაქურდა და კიდევ, და კიდევ მნიშვნელი
იდუმალ სიტყვების მჭევრობა:
„ევროპა, ფულები! ევროპა, მიშველე,
საერთო საქმისთვის, ევროპა!“
მუშებო, მივუნთოთ
მათ ცეცხლი თაკარი,
დაჰკარი მავნებელს,
დაჰკარი!

# ძველი და ახალი ხიდი

მცხეთის ახლო, სადაც მტკვარის
მორევია დიდი,
ძველისძველი დაჰყურებს წყალს
ხავსიანი ხიდი,
ხიდი დაბერებულია,
აღარ უჭრის თვალი.
ნატახტარზე აწ აილეს
სხვა გეზი და კვალი.
გააუქმეს ძველი ხიდი,
ღიმი არ სდევს ბაგეს.
ახალ ხიდის ძლიერება
უერთდება ზაჰესს.
ბებერ ხიდეს ძველებურად
სახე უჩანს მშვიდი,
ხედავს, მაგრამ ვერა ხედავს,
სდგას ახალი ხიდი.
ხედავს, მარა, არ სჯერა, რომ
გაჰყავთ ახლად შროშა
და ფრიალებს თავისუფლად
შრომის მტკიცე დროშა.
ხედავს, ხედავს ეს მოხუცი,
არ სჯერა კი, რომა
კიდევ მრავალ გზას და ხიდეს
შეჰქმნის მძაფრი შრომა.
მაგრამ როცა ზაჰესს ანთებს
ელვარება დიდი,
ცაში თან-თან იყურება
ვენეციის ხიდი.
ჩემს პატარა ბიჭობაში
მივლია ამ ხიდით.
ამხანაგო! ჩვენ ყველანი
წიგნებით აქ ვლიდით,
ჩვენ ყველანი ალებს ვკვესდით,
ვკვესდეთ, როცა ბნელა…
„კომუნისტურ მანიფესტით“

ვიზრდებოდით ყველა.
მოვიტანეთ ასე მრთელი
მოგონება კარგზე –
ყრმობის დღეთა დროინდელი
ენგელსი და მარქსი.
თან გამოგვყვა სიხალისე,
გამჭრიახი თვალი,
ჩვენთვის წიგნად ისევ ისე
დარჩა „კაპიტალი“.
ვისაც უნდა, ისე ხარჯოს,
გაჰყვეს თავის ტყეებს,
მაგრამ იმ დროს გაუმარჯოს,
იმ გაფრენილ დღეებს!..
მე არ ვიცი, როგორ შეზრდის
დღე სხვა დღეებს რიგით –
„კომუნისტურ მანიფესტის“
მღელვარების იქით.
ეს სხვა იყო, ეს ალური
იყო ანათემა,
ჩვენი არალეგალური
ყოფნის განათება.
ამ წიგნიდან – კლასის მტრული
ელვარებდა ბასრი.
წრფელი იყო ჩვენი გული
და ნათელი – აზრი,
აქ არ იყო შეცოდება
მოკამათე ტოლის,
იყო მხოლოდ მოწოდება
დაუნდობელ ბრძოლის.
და ამ მტკიცე ბრძოლის ხმამდე
ასე მძაფრად, კმარა,
კლასი კლასის წინააღმდეგ
არასდროს არ მდგარა.
ვინ არის, რომ გზას არ შესცდეს,
როს წვიმაა, ქარი, –
„კომუნისტურ მანიფესტის“
იხსნის თითო ბწკარი.

სხვა რომელი, საბჭოს გარდა,
როცა ცეცხლი ჰღვივის,
ყველა ქვეყნის პროლეტართა
შეერთებას ჰყივის?
სხვა იტაცებს მუშის სარჩოს,
არ გრძნობს შიშს და ძრწოლას.
მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,
კომუნისტურ ბრძოლას!

## უბინაო ბავშვების შესახებ

რევოლუციონურ
საქართველოში
თუ გააკეთებ –
საქმე ბევრია.
თუნდაც ბავშები,
ჩვენს ზრუნვის დროში
მათი ამბავიც ასაწერია:
მოდის ზამთარი.
მოიბურა მთა.
აქ მარტო სიტყვა
თუმცა არ კმარა.
გადუწყვეტელი
რჩება ბევრი რამ
და ჩვენ გავჩუმდეთ? –
არა და არა!
მსოფლიო ომის
დაწყებისას, როს
მოდგა, მომრავლდა
დღეები შავში –
ძნელ ცხოვრებასთან
დაჯახების დროს
ვერ გაერკვია,
დაიბნა ბავში.
ჰოსპიტალები,

მამა დაჭრილი,
შიმშილი, ყინვა,
შარა საზარი,
ეს გზა უმწეო
გზად გადაჭრილი
სიმწრის წიგნია
უზარმაზარი.
დაჰკარგა სახლი,
დაჰკარგა მდელო,
ქუჩებს მოედო,
როგორც მუწუკი.
გებრალებოდესთ
ყველას, მკითხველო,
ეს პაწაწინა
ბაში-ბუზუკი.
ათ წელს არ გასცდა
მისი ასაკი,
ცხოვრების იცის
სიგრძე-სიგანე.
ბავში, რომელსაც
ადარებ ხოჯას,
რომელსაც სახე
სრულად არ უჩანს,
დიდი ხანია
დაშორდა ოჯახს
და საშინელ გზას
დაადგა – ქუჩას.
თუმცა მრავალი
ემუდარება,
მაგრამ სადაც კი
კარებს შეაღებს,
შეაქვს შფოთი და
არევ-დარევა,
ქაოსად აქცევს
საბავშო ბაღებს.
დრო თავის ახალ
შალაშინებით

ჰქმნის ახალ კარებს
და ახალ საკიდს.
დრო სიძლიერით
და დაჟინებით
ჩვენს წინ აყენებს
ბავშების საკითხს.

## პიონერო, იყავ ღირსი ახალ ყოფა-ცხოვრების!

სხვა ბავში კი რომ
ალტაცებით
აწყდება შკოლას,
საფეხურიდან
რომ აჰყვება
ახალ საფეხურს,
ის კარგად იცნობს
თავისუფალს
შრომას და ბრძოლას,
ის იცნობს
ახალ საქართველოს,
მის წინსვლას მეხურს.
ის 9 წლისაა,
მისი წიგნი,
მისი გრიფელი,
მისი რვეული,
მისი წერა
აპოკრიფული
როგორ დაშორდა
ჩვენს წინანდელს,
სუსხიან წარსულს,
ეხლა ვიგონებ
ყოველივეს,
როგორც დასასრულს...
გულშემზარავი,

საშინელი
შკოლის ნამტვრევი
გაგახსენდება
და სიკვდილი
მოგენატრება.
მწარე დრო იყო,
ბავშებს ჰქონდათ
დავა და ჩხუბი:
მათ დააარსეს
„ხალხის მტერთა
მმუსრავი
ჯგუფი“,
მასწავლებელი საზიზღარი,
მტარვალი, კრული,
მათ წინ დაეცა
ცხელი ტყვიით
გულგანგმირული,
ის, ვისიც ხელში იზრდებოდა
მთელი თაობა.
ჩამოვიდოდა რომელიმე
„არარაობა“,
მოჰქონდა თავის სამღვთო სჯული,
ძველი კოდექსი –
დიდმპყრობელური,
გაცვეთილი
პროზა და ლექსი.
შუღლი, დაცინვა,
კარცერები და ეკლესია.
და მათ შესაფერ
პატივს სცემდენ,
როგორც წესია.
პიონერებო!
თქვენ არ გახსოვთ,
ო, ეს ველური
დაბრმავება და
შოვინიზმი
დიდმპყრობელური...

. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .

პიონერო, იყავ ღირსი
ახალ ყოფა-ცხოვრების,
შენ ხანა არ გაგივლია
ძველი გამათხოვრების.
მასამ აზიზოქრებულმა
ის ზორკილი დალეწა,
რომ ნისლებს არ დაებურა
შენი გამჭვირვალე ცა.
ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი
დაუნდობლად შელახა,
რომ ნამდვილი გაზაფხული
შენთვის გადაენახა.
თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა
ცისფერ იის ღერები,
გაზაფხულის ეს მზადმყოფი
ნორჩი პიონერები.
მშენებლობა მოდის ქვეყნად,
ჯერ რომ არსად ნახულა,
პიონერო, ეს დღეები
შენთვის გამოსახულა.
ხუთწლედი ოთხ წელიწადში!
საქმეს – თავის ალაგი!
მოდის სოციალისტური
სოფელი და ქალაქი.

## სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის

საქართველოში მძლავრზე მძლავრი
არის ხმაური,
ისმის ეპოქის უსწრაფესი
ეტლის გრიალი.

ამ ეტლში ბრმაც კი ჩაჭედილა,
ვით მოგზაური.
ხილულიც ნახვას ყველაფრისას
ვერ ასწრებს თვალი.
სოციალიზმის სისადავე
რანაირია
და რა ძვირფასი – დაინახავს –
ვინც გადარჩება.
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაში მიდის,
ამ იანვარში მას აცვია
თხელი სატინა.
არც მზე მიდიის, არც ბაღები
სემირამიდის –
საქართველოა, არა რომი
ანუ ათინა.
ხან მუშკოოპთან, სასახლესთან,
ხან სახელგამთან
ის შეჩერდება, გაისწორებს
ლორნიონს უწინ...
გახედავს პროსპექტს...

სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაში მიდის,
ქუჩა ელექტროს და რადიოს
მოუთოკია,
„თუმცა პოეტი ეხლანდელი
არ ჰგავს ოვიდის,
მაგრამ ყოველ დროს ხომ თავისი
ჰყავს ბოდოკია!“
მიდის პოეტი. ეს პროსპექტი
არ არის მისი,
ის კარგადა გრძნობს ამ დღეების
სხვანაირ ელვებს,
მაგრამ ტფილისი, ეხლანდელი
მძაფრი ტფილისი
მის გულს მედგარი მშენებლობის

გრძნობით აღელვებს.
მიდის წყნარი და მხიარული.
ახალი ძალით
უყვარს სიცოცხლე (დე, იცოცხლოს
მრავალჟამიერ)!
ჩვენთვის ის მუდამ ძვირფასია,
ვით მაგალითი
ბევრის ატანის, შემომქმედი
შრომის დღე-ღამე.
რევოლუციონურ საქართველომ
ასე შეტოპა –
ვინ არ შეხედავს სიხარულით
ამნაირ გარჯას,
იმედიანი გახდება თვით
უიმედობა,
შენება მოდის? თუ მოვიდა –
მას გაუმარჯოს!
რას ამბობ, კაცო? უშრომლად ხომ
არა მოდის-რა,
ის რომელია, რომ უმღერის
ნირუცვლელ ყოფას.
იშრომე რაღა! ვინც ასეთი
შრომა იკისრა,
ის კიდეც დასძლევს კარჩაკეტილ
უნაყოფობას.
იანვარია. თოვლი ფარავს
ქუჩებს და ბინებს,
მაგრამ ვინაა, რომ ჯინაზე
ასეთ ამიდის
„მაისის ვარდნი გაფურჩქვნილნი“-ს
ხმით მიღიღინებს?
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაზე მიდის!
იქით კი ისევ მძლავრზე მძლავრი
არის ხმაური,
ისმის ეპოქის უსწრაფესი
ეტლის გრიალი,

ამ ეტლში ისიც ჩაჭედილა,
ვით მოგზაური,
მაგრამ დანახვას ყველაფრისას
ვერ ასწრებს თვალი!

* * *

უნდა შეავსოს
        ხვალემ და ზეგმა
ოთხ წელიწადში
        ხუთი წლის გეგმა.
ინდუსტრიალური
        იგრძნოს ეს წელი
რუსმა, ქართველმა,
        ყირგიზმა, ლეკმა.
თუ რომელიმე
        წინააღმდეგმა
სთქვას: აგვიკლოო
        ჭუჭყმა და ლექმა, –
ჩვენ მივუთითოთ:
        აი, საპონი!
ამისთვის უნდა
        შესრულდეს გეგმა.
გავშალოთ ბრძოლის
        მთლიანი ფრონტი,
ჩამოვიცილოთ
        თვალიდან ბლონდი,
კოლმეურნეებს,
        სოფელს და მასებს
მიყვეთ შრომაში!
        მივყვეთ ბოლომდი!
ყველას, ვინც მასსის
        გულისთქმას ისმენს,
ვინაც მებრძოლად
        მიაჩნის ვისმეს,

მუშათა კლასთან,
        მეომარ კლასთან,
ასწიოს დროშა
        სოციალიზმის!..

* * *

გართმევთ პოეტობას?
გირჩევთ: მენანებით –
მიეთ-მოეთობას
თავი დაანებეთ!

პოეტი არის მებრძოლი,
ახალი ქვეყნის მჭედელი!
წინა სდგეს ცხარე ბრძოლებში,
როგორც ქვითკირის კედელი!
რატომ შენ არა გჯერა,
რომ მრავალია ჯერა
მტერი გარედ და შინ?
წინ, პოეზია წინ!

ვჭედოთ რკინად, ვჭედოთ რკინად
გული ჩვენი ზიარული,
აღარ ვარგა, როგორც წინად,
ძველი გულით სიარული!
გული თუმც არც ყინულია,
არც დამწვარი მდუღარებით –
იგი შემორკინულია
დღეთა ჩვენთა მქუხარებით!

რომ არ იცოდეს ეს,
გამაგებინეთ: დღეს
სად, რომელია, ვინ?
წინ, ისტორია, წინ!

მსოფლიოვ! დრო კია, გააღო კარები
იმპერიალისტური, ოქროთი მოვერცხლილი გალიის,
ჩაგრული ერები და პროლეტარები
აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის
ებრძვის მჩაგვრელთა ჟინს:
წინ, ამხანაგო, წინ!

სად კლასთა ბრძოლას უმძაფრებს ხალისს
სისხლი, ბორკილი და საპყრობილე,
შეურყევლად სდგას შენი პროფილი,
სახევ ბრწყინვალე ინტერნაციონალის.

დროშა ბევრი მინახავს,
დროთა ძველთა მსახველი,
პირველ მაისისთანა
დროშის არ ვარ მნახველი!
მრავალ მილიონების
რწმენა არის მხოლოდ ის.
შრომის ლოზუნგებია
და სულ ყველა ფოლადის.

მთელი დედამიწა ოქრო-ფერადივით
უნდა დაიტვირთოს კოოპერატივით,
არა ღობეებით, არა ნალექ ტივით.
თუჯით, მოსავალით, გზებით, კოლექტივით!
ბრძოლად გარედ და შინ...
წინ, ამხანაგო, წინ!

პოეტი არის მებრძოლი,
ახალი ქვეყნის მჭედელი!
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში
როგორც ქვიტკირის კედელი!

## მოდიან ლეგიონები

დამკვრელებს
ვაშა! სალამი!

ქართველი თუ ალჟირელი, –
მტრისათვის მწარე წალამი,
გუგუნებს კომკავშირელი:
– არა მორჩილი მონები,
არამედ შიშ-შთამგონები,
ამფეთქებლები მოდიან,
მოდიან ლეგიონები!
დამკვრელებს,
როგორც წესია,
ძმად არ სწამთ უიმედონი.
ჩვენი მზე რიონჰესია,
ჩვენი გზა – რკინა-ბეტონი.
ასწი მკლავით და გონებით
ხუთწლედიანი ტონები:
აღმშენებლები მოდიან,
მოდიან ლეგიონები!
გმირული
ტემპით ვაშენოთ!
ვთესოთ! ავკრიფოთ! ვილონოთ!
არ ვარგა, – გადავაშენოთ,
სხვა – კარგი გამოვიგონოთ!
არა მორჩილი მონები,
არამედ შიშ-შთამგონები,
შეჯიბრებისთვის მოდიან,
მოდიან ლეგიონები!
ხელდაკრეფილი
და მუნჯი
მოწმე არავის სჭირდება:
აქტივობაა საუნჯე,
როს მტერი აგიხირდება!
არა მორჩილი მონები,
არამედ შიშ-შთამგონები,
ჩვენს დასაცავად მოდიან,
მოდიან ლეგიონები.

## მხურვალე სალამი პროლეტარულ მწერლებს!

დახე, რანაირია დედამიწის ტრიალი,
წინად როგორ ბნელოდა, მერე როგორ იალა,
როცა ცხრაას ჩვიდმეტის ცეცხლოვანი ბზრიალა
დატრიალდა და ქვეყნის თავზე გადიგრიალა.
ახალგაზრდა პოეტი თამამია, ურჩია:
სიკვდილს ასჯერ გადვურჩი (კიდევ გადავურჩები),
იმ ბობოქარ ტყვიებში ვიდექ ბარიკადებზე,
რადგან ათასწლოვანი ინგრეოდენ ბურჯები.
ბრიყვი ბევრი მინახავს, დროთა ძველთა მსახველი,
მაგრამ კერენსკისთანა ბრიყვის არ ვარ მნახველი:
როგორ იმუქრებოდა ის ცეცხლით და მახვილით:
დაგანგრევთო, ხელახლა ომში თუ არ წახველით.
მან პასუხად მიიღო წითელ დროშათ ტყე-ველი,
აკაკანდა ათასი ხაზით ტყვიამფრქვეველი.
მასა მძლეთა-მძლეველი, კლასი ცეცხლის მფრქვეველი,
კლასი გაიძახოდა: „ძირს, ძირს ფარისეველი!“
დამტკიცდა ისიც, რომ
        ცხოვრება არ არის
        ვეფხის ტყაოსნური
                რითმათა მთოვრება,
არც ბაღი სევდისა,
        არც ჩემი, არც სხვისი,
                ადრინდელი ხმა
                არ არის ცხოვრება.
იგი მიწაზეა,
        იგი შრომაშია,
                ის თვალწარმტაცია,
არყოფნა არის ცა,
        ცხოვრება კი არის
                ორგანიზაცია.
ცხოვრება არ არის
        სულ ჩემი და შენი,
                სულ მე და სხვა – არა.
– წარსული იყოო,
        თუ იყო რამ ქვეყნად, –

გაჰკივის მასხარა.
ასეთი ცხოვრება
ცხოვრება კი არა,
ორმოა პაწია.
ნამდვილი ცხოვრება
არის მომავალის
ორგანიზაცია.
ვით ჭირი, და როგორც
ერთგვარი სახადი,
მემარჯვენეობა
აგორებს ძველ გოგორს:
ტაძრები ნახატი,
ხმალი და მძლეობა.
ჩვენ ვამბობთ: ძირს ხატი.
ჩვენ გვინდა ახალი,
ცხოვრება აწია!
ცხოვრება – ეს არის
რევოლუციონური
ორგანიზაცია.
ზარალი თუ გმირი?
ტფილისის სასაზე
ხმა ჰარი-არალის.
ცხოვრება დოლია?
არ არის ეს ასე,
არ არის, არ არის!
ვინც კაცი არ არის,
მას რა ეთხოვება?
რომელიც კაცია,
მან იცის, რას ნიშნავს
სოციალისტური
ორგანიზაცია.

სტირი განაპირებას, გახსოვს ცრემლთა ჩქერება,
მაგრამ მგლის ატირებას როსმე დაეჯერება?
ცრემლი სხვისი გემართა, სხვისი ოხვრა გსმენია,
ახლა აქ დაგემართა, რაც იქ ჩაგიდენია.
ვით არ მესხვანაიროს შენი ძველი ჭრიალი,

რომ ავტოს და ჰაერის გზებით მიდის გრიალი?!
ჩვენი გზაა – კომუნა, თქვენი – ერუსალიმი.
პროლეტარულ მწერლობას ჩვენი წრფელი სალამი!
ნერვებს შრომა ამდენი არასდროს არ რგებია:
ბევრის მნახველ-ჩამდენი გაგვიფოლადებია.
ვიყოთ ჩასაფრებული, ანდა რა დროს შიშია,
როცა გამძაფრებული ყველგან იერიშია!
ვჭედოთ, ამხანაგებო, ნებისყოფა ფოლადის,
ვჭედოთ აგუგუნება ხუთწლიანი ხომალდის,
ვჭედოთ, ჯარო წითელო, დისციპლინა ძლიერი;
ვჭედოთ კოლექტივები, ვჭედოთ ხმა მიწიერი.
ვჭედოთ, ახალგაზრდობავ, საწარმოო მზადება,
ვჭედოთ შურისძიება, რისხვა, თავგადადება.
ვჭედოთ ბასრი მახვილი და კულტურა მახვილი;
ვჭედოთ რკინა ალმების, ბრძოლის გამოძახილი.
ვჭედოთ სოლიდარობის მარადისი ხალისი,
ვჭედოთ, რომ გამოვჭედოთ ქვეყნად სოციალიზმი.
ვჭედოთ!
ვჭედოთ!
ვჭედოთ!

## ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარედ

არათუ წლები გადეშვა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ
დროის, ეპოქის და სივრცის გარედ!
ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს,
ბევრის ნაბიჯი არის ტაატი.
დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს
ეს წელიწადი, დღე და საათი.
არათუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,

არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.
ამ გარდატეხის ათეული წლის
ჩვენთა მიღწევათ მოანგარიშე,
წერტილი რაა, სტრიქონი, ისიც
ისიც არ უნდა დარჩეს გარეშე.
ყველამ შეტევა და შეძახება
ერთ მეექვსედის ხმალთან დალესოს,
როცა ეპოქა დაეჯახება
კარებს მსოფლიო კაპიტალისას.
არათუ წლები გადეშვა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ,
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ –
დროის, ეპოქის და სივრცის გარედ!

# ცალკეული ლექსები

* * *

ნაძვის ხეებს ელვარება
ანთებს სიახლოვითა,
ახალი წლის, მეათე წლის
სიხარული მოვიდა.

წარსულიდან სამწუხარო
ბევრი გახსოვს, ბუხარო,
ის ქოხმახი, იგი ველი,
უგუთნო და უხარო.

ჩვენი სახლის მტერი იყო
ომის ცხარე გრიგალი,
მან აგლიჯა სახურავის
ყავარი თუ ფიქალი.

იდგა, უსახურავო და
უსაკეტო, უკარო,
ვით ოდესმე, ხანძრის შემდეგ,
კვლავ ასე სამწუხარო.

გადანგრეულ-გადამწვარი
ქალაქის და სოფელის
ნანგრევებზე შენ იდექი,
მოწმე, ყოვლის მცნობელი.

ოქტომბერმა რომ დაბერა,
მხარე გაასხვაფერა, –

აგუგუნდი... აწ რას ამბობ,
რა ვქნა, რამ დაგაბერა!

კვლავ სასახლედ იქცა ყორე,
ოქროს ხალი დააგეს,
გათბა ისევ და განათლდა
გული სოფელ-ქალაქის.

თუ რომ იქით, საზღვარს იქით
გრიგალი და ქარია,
ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში
ეხლა უშიშარია.

რაც წელია აქ მარად-დღე
განძს თვლის მუშა ყოველი,
გლეხიც ასე გაიძახის:
უხვ მოსავალს მოველი!

ქვანახშირზე და ფოლადზე
მღერის, რაც კი ჯარია,
ჩვენი მხარე ნათელ შრომის
მტკიცე საყუდარია.

და რაც წელი მიდის, ყველგან
მძლეა ჩვენი ქვეყანა,
განადგურდა, რაც კი მტერი
ჩვენსკენ გამოექანა.

აივსება ყველაფერი
პურით, ღვინით, დოვლათით,
განახლების სიხარული
საერთოა, ყოვლადი.

სიყვარულით იცავს საზღვარს
ჯარი თავდადებული,
რაც დრო მიდის, სულ მაგრდება
მხარე აყვავებული.

ჩრდილოეთის პოლიუსის
ყინვას არ გრძნობს რჩეული,
აგუგუნდი, გახალისდი
დარდებს გადაჩვეული.

აშუქებენ გზას წიგნები,
მშვენიერი წიგნები,
გაშლი „ვეფხისტყაოსანს“ და –
ვეფხად გარდაიქმნები.

ნახავ კიდეს შავი ზღვისას
გზებით არა შორითა –
ციტრუსების რკალით როგორ
ჰყვავის ჩვენი ფლორიდა.

აჰ, ბავშვებო, ნეტა სადმე
ერთი მხარე მაჩვენა,
სადაც მეტი იყოს ზრუნვა
თქვენზე... ნეტავი თქვენა!

დაშრეს ნისლი! გვინდა, გვინდა
ჭაობების დაშრობა.
ლაქაშს სტოვებს და მყინვარზე
ეშურება ლაშქრობა.

ახალი გზით მიდის ჩვენი
ურღვეველი კავშირი,
ჩვენი თუჯი, ჩვენი ოქრო
და ჩვენი ქვანახშირი.

ნაძვის ხეებს ელვარება
ანთებს სიახლოვითა,
ახალი წლის, მეათე წლის
სიხარული მოვიდა!

[1931]

## ყველა წითელარმიელი იდგეს, როგორც ლომი

თუ რომელიმე სასახლეს აგებს,
რომლის სიმაღლე არის ზღაპარი,
როცა ქუჩაში ღარიბ-ღატაკებს
არ გააჩნიათ თავშესაფარი,
მილიარდერი აგებს თეატრებს,
რომლით ბრჭყვიალებს მთელი ევროპა,
როდესაც მუშებს ქუჩებში ათრევს
გაუგონარი უმუშევრობა.
მილიარდერი ააგებს ტაძარს,
რომ შეითრიოს ქალი და ბალღი,
რომ რელიგია სცხოს ოპიუმში
და ოპიუმით მოწამლოს ხალხი.
აზრი მსწავლულის, გმირის, არტისტის
მონად ჰყავს ბანკირს.
სახლშიაც არის, გარედაც იცდის
ჩასაფრებული ბურჟუაზია.
ხელში აიღებ დღევანდელ გაზეთს
და გრძნობ, სად მიდის ძველი ევროპა,
ვისზე იყენებს ტანკებს და გაზებს
პარლამენტების ენამჭევრობა.
საბჭოებს ისრებს უშენენ შვილდნი
ყველა ლონდონის, ყველა ლიონის,
გიგანტიური სტამბების დაზგა
და მშენებლობა როტაციონის.
გრგვინვენ მოტორნი და გაზეთები
იფანტებიან გამყინველ დროში,
მუშებს თავისი უნდათ გაზეთი
და გაზეთისთვის არა აქვთ გროში.
საზიზღარი დრო! უსაზიზღრესი,
ვიდრე გახრწნილი ლეშების სუნი,
როცა ზიდავენ მკვდრებს რკინიგზები
და ტელეგრაფთა კვნესის ზუზუნი.
სად კონტინენტი დარაჯობს მხოლოდ

ფარჩეულობას, ტყავეულს, ნოხებს,
პრესას, მუსიკას, თავდავიწყებას
ეძებს კაფეში და გულს იოხებს.
ამ დროს ღვინოსთან მოღიმარ ჯენტლმენს
უახლოვდება მაღაროს მთხრელი,
მოგვიმატეო, დროა, ხელფასი!
ვკვდებით შიმშილით, არ მოგვდევს წელი.
ჯენტლმენი ახალს იღებს სიგარას,
არვის მოთხოვნა მას არ აწუხებს,
აიღებს ქაღალდს, მწარე დაცინვით
შეხედავს მუშას და უპასუხებს...
მაშინ უეცრად მე მომეჩვენა,
რისხვად გააფთრდა მაღაროს მთხრელი
და შამპანურთან გართულ ჯენტლმენებს
საყელოებში სწვდა რკინის ხელი.
ღვინო გადესხა აბრეშუმს, ხავერდს;
ქალს ალმასების მოსწყდა საყურე,
ძირს გაიშხლართა მძიმე ბანკირი,
კიბის ქვეშ შეძვრა მოსამსახურე.
იწვის წიგნები და გაზეთები,
ქანდაკებები იმსხვრევა რკინის.
„წყალი!“ – გაისმის ხმა მანდილოსნის,
რომელმაც სუნი იგრძნო ბენზინის.
სარკემ ძგრიალი მოილო, ალმა
გადმოანგრია ბროლის კანკელი.
მომენტი ჰგავდა ელექტრო-ბზრიალს,
როს კაპიტალმა იწყო კანკალი.
ოქრო და ვერცხლი ძირს დაიყარა,
ინტელიგენტის გამოჩნდა ზურგი,
სათვალის, ცილინდრს, სიგარის იქით
დგას მშვიდად კლასი, როგორც ქირურგი.
გაჩნდა ქუჩაზე ბარიკადები,
კაპიტალისა დაიძრა მყარი...
მაშინ იმედი მუშათა კლასის
არის მედგარი წითელი ჯარი.

კლასი ჰქუხს: ვაშა წითელ არმიას,
რომელიც მტრების საყრდენ-სადგურებს,
ჩვენს წინააღმდეგ ამუშავებულს,
დალეწავს, დასწვავს, გაანადგურებს!

[1931]

## ორთქმავალი რკინისგზის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხიდან ესალმება მე–14 ოქტომბერს

1

ოკეანეს აპობს გეზი
გიგანტიურ ლაინერის,
ავტოებმაც უდიდესი
გზები გაასხვანაირეს;
მილს მიანგრევს ათი ათასს
დირიჟაბლი, პროპელერი;
რკინისგზებმაც გადაქსელეს
დედამიწის მთა და სერი.
მაგრამ გახსოვთ ცხრაას ოცი,
ორთქმავალი გვქონდა ნორჩი,
ინგლისში კი მატაოცი
ხარხარებდა ლოიდ-ჯორჯი.

2

ახმაურდეს, ამოდუღდეს,
არ დაეტყოს ხნოვანება.
უძლეველი ძალით ჰქუხდეს
ორთქმავალის ხმოვანება.
რა უნდა ხმას გაუბედავს,
როცა ბევრის გრძნობა ტლანქი

სინათლესაც ველარ ხედავს
და გონებას უხმობს ბანგი?
გამოფიტულს, აზრდაკარგულს
ჩვენშიაც ბევრს შერჩა ერთი
მისწრაფება და გულდაგულ
გატაცების ერთი წერტი.
რა გახდაო მანქანება,
ან ელექტრო-ბრჭყვიალება,
მისი გადაქაქანება,
მისი გადაგრიალება,
რა გახდაო მანქანება,
ან ძრავებით სიარული!
ჩვენ კი გვინდა გაქანება
მძლავრი, ინდუსტრიალური.
ჯინზე კერძო მესაკუთრის
ორთქმავალის ჰკივის ნადი:
ზოგი ქვეყნის ხუთასს უდრის
ჩვენი ხუთი წელიწადი!

3

საყვირმა დაჰკრა დილისამ,
აჰყარა გარე-უბნები,
ცისკარო თვალებ-თილისმა,
რატომ ბანს არ ეუბნები?
შენი ცა სხვაფერ ოცნებობს,
ღამეც ბევრი გაქვს ნათევი,
აქ კი სხვა სახელოსნოა
და სულ სხვა ნაძალადევი.
აქ თვითეული მკრებელი
მებრძოლი არის მედგარი,
რომ დასძრას მატარებელი
ახალ რელსებზე შემდგარი!
ევროპამ თვის სანაქებო
ღიმილიც კი არ გვაღირსა,
ვიცოდეთ, ამხანაგებო,
ხმარება იარაღისა.

მვნებელი ნაირ-ნაირი
ცეცხლის სასხლავით მოსხალი
მათთან საერთო ჰაერით
რად გინდა თავი ცოცხალი!
სტვენს ორთქმავალი ქარ და ქარ,
კვამლი ფრიალებს ნაქარი.
საყვირმა დაჰკრა, შენც დაჰკარ,
დაჰკარი, ცეხო, დაჰკარი!

4

მიწას რომ ბურღავს მეტრით სამასით
და ბურღილიდან ამოხეთქს ნავთი,
ცისტერნა მთვრალი ამ სილამაზით
უცდის მას, როგორც სხვა არგონავტი.
რა მტკიცე ბურღვა სჭირდება ფენას
ტემპი, მზად ყოფნა წამითი-წამით,
ტეხნიკა, ატანა, შრომის მოთმენა
დღითა და ღამით, დღითა და ღამით.
რას შეეჩვია ორთქმავლის სიყრმე?
იმასვე რასაც მბურღავთა დასი:
სამი ათასი იქ მეტრი სიღრმე –
აქ გზა მრავალი სამიათასი.
არის მიწაში თუ ადის ცამდე,
ჩვენი ბენზინის ყოველი წვეთი
გრძნობს, რომ ვერ ზიდავს სიმდიდრეს ამდენს
ვერარა ძალა ორთქმავლის მეტი.

5

ორთქმავლით, ნავთით ვიბრძოლებთ ყველა,
რეზერვი ზღვაა, ის არ იცლება.
არ შეიძლება ცოტათი ნელა,
არა, არასგზით არ შეიძლება.
ხედავ, კარს ადგას მსოფლიო არეს
სოციალიზმის მახვილი ბასრი.
აი, რა აზრი აქვს ამ სიჩქარეს

რა უდიდესი, მსოფლიო აზრი...
დრო ფოლადისას ჰპოობს სახებას,
ყოველ ორთქმავალს და ყოველ დიზელს
ყოველ სანიშნო გამოძახებას
ვუცქერით, როგორც ფხიზელი ფხიზელს,
შემდეგ მოლურჯო ეს ემბლემები
ისახებიან წყალზე მწვანეზე,
უზარმაზარი მიჰყავთ გემები
ყველაფრის დამტევ ოკეანეზე.

## 6

დღეს ორთქმავალო, სავსევ ქურებით,
რაც წინად გვწადდა, უფრო გვწადია.
მსოფლიო მიზნით მივეშურებით,
მალე თოთხმეტი წელიწადია.
გასწი, შენი გზა ანათებს ხანას
რომ გამარჯვება უცხო ახაროს,
ყოველ ელსადგურს, ყოველ ქარხანას,
ყოველ ფაბრიკას, ყოველ მაღაროს.
გაჰკივლე რკინას, თუჯსა და ნახშირს
ახალ ტეხნიკას, ახალ მანქანებს,
შენი კივილი გარედ და სახლში
ბევრს განწირულად ააქაქანებს.
გაჰკივლე ცემენტს, ნავთს, მინერალებს,
გზატკეცილს, ტრაქტებს მაინც და მაინც
შეენთე სოფლელ მეურნის თვალებს
და მის განუყრელ ტრაქტორს, კომბაინს.
გაჰკივლე ჩვენი ხუთწლედის გმირებს,
რომ ჩვენ ვიზრდებით და აგრერიგად
მალე ვერაფრით ვერ გაგვაკვირვებს
ტეხნიკის კერა, თვით ამერიკა!
დაეშვი, ფარდავ, ევროპის ძველის,
იქ ხომ არ ინდობს არვინ არავის,
დასრულდეს აქტი უკანასკნელი
დრამის, იმათთვის გულშემზარავის.

[1931]

# პოემა

## ბარიკადებზე იბრძოდა ქალი

ხვალ მაისია. წითელ დროშებით
და ყვავილებით გამოვა მასა,
ის ღირსი იყო გამარჯვებისა,
მაისმა გრძნობა გაუალმასა.
გახსოვთ? რა ქარმა გადაიარა
ველი ბრძოლისა მძლავრად, ფარახდით.
რა სიძლიერით ყოველმა მხარემ
დაიგრიალა: შეიარაღდით!
თითქო საზღვრები გადაიშალა.
ორი ქვეყანა გიგანტის ტოლა
გაიყო ორად და გაიშალა
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა.
მახსოვს ბრძოლისგან ნანთები სახე
და ავარდნილი ზეცამდე ალი,
მწარედ დაჭრილმა მე თვითონ ვნახე,
ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
ვინ იფიქრებდა იმნაირ დროში:
ყინვა, ქარბუქი და ცეცხლის ალი...
რიგებში ხელში წითელი დროშით
ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

გადიშალეს ცეცხლის ზოლთა
ჟამი ბრძოლით შელახული,
სიმტკიცე და სვე მებრძოლთა
ჩვენს გულშია შენახული.
გულს თუ კარი დარაზოდეს,
გადაქცეულს ბრძოლის ხმადა,
არ მსმენია არასოდეს
მე იმგვარი კანონადა.
ასე გასჭრას ჩვენმა ბედმა,
თუ არ არის ძველებური,
დაიმღეროს კიდევ გედმა
ცეცხლი გადაჭენებული.
რაღა დარჩა ძველ სამყაროს,
მეგობრად რომ მოაქვს თავი

და სურს ჩუმად გაგვითხაროს
ფეხქვეშ მიწა და საფლავი?
ო, სირცხვილო, თუ მონებად
შევუქმნივართ ჩვენს წინაპრებს,
განა კი ღირს მოგონებად,
თუ დავუშვებთ ბრძოლის აფრებს?
კარგო ქალო, ხსოვნა შენი
სხეულთან არ დამარხულა,
საგმიროთა საქმეთ მჩენი
ხალხის გულში შენახულა.
ვინც გიგონებს, ასე ამბობს:
გამარჯვება დარჩა გულსო,
იგი გვანთებს, იგი გვათბობს
ქარიშხლებით დაღალულსო.
შენ მუდამ ხარ და და დედა,
ახლა აღარ შეწუხდები,
თუ ქვეყანას გადახედავ
და ახალი გესმის ხმები.
ქალებს ახლა იგივე აქვთ
საამაყო მზის მშვენება,
ის გმირობა კიდევა სწამთ
და იგივე ძლიერება.
მათაც შერჩათ ის, რაც ძველად
გიტაცებდათ, ცეცხლში გხვევდათ.
ჩვენი დროის საფუძველად
მუდამ გგრძნობთ და მუდამ გხედავთ.

ის, ქარხნის, შრომის ერთგული შვილი
ხალხისთვის გულსაც კი გაიპობდა
და მანქანების გრიალი ტკბილი
ქალის ფიქრებთან მუსაიფობდა.
თითქოს მუსიკის ჰანგების შრიალს
მოტორი მხრებზე გადაიფენდა,
ღვედების რბენას, ბორბლების ტრიალს
უსმენდა და ჰანგს მშობლურს ისმენდა.
მაგრამ ელვარე ხმალმა გალესა
შვილის და ყველა შვილების ბედი:

უცებ გაისმა ხმა გრიგალისა –
ქარხნებს მიაწყდა ცხრაას ჩვიდმეტი.
„გასწიე, წადი, – ისტუმრებს ის შვილს, –
მტერს ნურასდროს ნუ შეუშინდები
და უნანებლად იდექ იმ ადგილს,
სად შენი ძმების გაისმის ხმები.
რა საჭიროა! მდიდრის ქადებზე
არ გაიცვლება თავისუფლება –
ყოველი გმირი ბარიკადებზე,
ყოველი გმირი დროშასთან კვდება”.
ქუჩაზე იდგა... თოვლის ფენობებს
ხმაური სდევდა მძაფრი და მრღვევი,
სულ ახლო ცეცხლი ედო შენობებს
და კაკანებდა იქ ტყვიამფრქვევი.
ქალის სახეზე იყო შთენილი
იმ ქარიშხალთა ძლიერი ბრუნვა,
ფიქრი მის შუბლზე გადაფენილი
და ერთადერთი საქვეყნო ზრუნვა.
მეხუთე დღეა, რაც განცდის შუქში
მებრძოლი შვილის სახე ტრიალებს,
უმაგალითო ბრძოლის ქარბუქში
სხვათ მისწრაფებებს ის იზიარებს.
ვინ იცის, იქნებ, სასირცხოდ შვილი
გასაჭირს ასცდა და მიიმალა?
როდესაც მის წინ იდგა სიკვდილი,
იქნებ ლაჩრულად დაკარგა ძალა?
არა და არა... მტერთან ბრძოლაში
არ შეშინდება იმ დედის შვილი –
იგი მუშაა, ქურების ალში
ჭირნახული და გამოწრთობილი.
რა არის მასთან სხვა ძლიერება,
თუნდაც ვაება, თუნდაც სიკვდილი?
სულის სიმტკიცე და სრული ნება
სიყრმიდანვე აქვს თანდაყოლილი.
ასე ფიქრობდა ქალი, როს ფერთა
შემოიხვია საღამოს ჩრდილი,
სახლთან საკაცით უცებ გაჩერდა

ძველი, საბარგო ავტომობილი.
დედას საკაცე სისხლში მოსვრილი
შვილის სიკვდილზე ეუბნებოდა,
ბარიკადებზე დაეცა შვილი:
იცოდა, ასე რომ მოხდებოდა.
ქალი იგონებს გულგანგმირულ შვილს:
არ სტირის, გული განაგრძობს დაგვას,
ო, როგორ მწარედ გრძნობს იმის სიკვდილს,
ო, როგორ მწარედ გრძნობს ამ დაკარგვას!..
გრძნობამ, რომ იყო ის ღირსეული,
დედის თვალთაგან გაფანტა ნისლი.
არ წყდება ბრძოლა ცეცხლმოდებული,
ბარიკადებზე იღვრება სისხლი.
პირველად, როცა მოგვისწრო მტერმა
და ქარიშხალი დაატრიალა,
ჩვენი სიმტკიცე რომ იგრძნო ბევრმა,
თითქო, ასე ჩნდა, დაკარგა ძალა.
მაგრამ, როდესაც მან შეამჩნია
ჩვენი სიმცირე და სიცოტავე,
მოკრიბა ძალა, რაც კი გააჩნდა,
და ცეცხლი ისევ გაჩაღდა მწვავე.
რაღას ვიზამდით – ოცი ერთ მუშას
მოპირდაპირე ხვდებოდა მტერი,
რას დააკლებდა მტერი ამ გროვას,
თუნდ უმტკიცესი, თუნდაც ძლიერი.
მებმება ენა... მას, ერთგულ გუშაგს,
არ ასცდებოდა ტყვია, ცხადია,
რადგან ის იყო ნამდვილი მუშა,
მუშის მიზანი კი დიადია.
ვერ-რა გავაწყეთ... როგორც აფთარი,
მძიმედ დაჭრილი თვალს აცეცებდა,
ბევრს უიმედოდ დასცა თავზარი,
თავს არ ზოგავდა, ხსნას არ ეძებდა.
ბარიკადებზე ჩვენი ამალა
დგას ამ ცეცხლებში და კარგავს იმედს,
ელევა საზრდო, ტყვია-წამალი,
პირდაპირ უცქერს აუცდენელ ბედს.

მტერს, რა თქმა უნდა, ის ვეღარ დასძლევს,
თვით დაიძლევა ის, ვალმოხდილი,
ის გამარჯვებას სიცოცხლეს აძლევს,
მაგრამ სილაჩრეს არ აქვს ადგილი.
ბარიკადებზე ბრძოლაა რთული,
გაცხარებული, ალამსახველი,
ცეცხლს ეტანება სიცოცხლე, გული,
ცეცხლში ტრიალებს ტყვია, მახვილი.
გზიდან ყუმბარამ გადისრიალა,
სახლების თავზე გაინავარდა,
ცაზე ძლიერი ზოლი გაშალა
და შუა რაზმში მძიმედ ჩავარდა.
ხმლები ეხვევა სისხლიან ალმებს,
სისხლში მრავალჯერ ამოვლებული,
ბევრს წუთისოფელს გამოასალმებს,
საბოლოოდ სცემს მომაკვდავთ გული.
ბრძოლაა... შორით გამოჩნდა ცხენი,
მტრის რაზმს, ზღვადქცეულს, შუაზე აპობს,
ხან თოფის კვამლის ედება ფენი,
ხან ყუმბარების ალში კიაფობს.
ხან მიაწყდება, რომ მოდებული
გადაარღვიოს ალყათა რკალი –
დაუზოგველი, თავდადებული
ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
იქიდან რაზმმა დაიგრიალა:
ჩვენია – იცნეს მხედარი ქალი...
„მიეშველენით! – მოსწყდნენ ადგილებს –
გადაერიეთ, ჰკა მაგათ ხმალი!“
აღფრთოვნებულნი, ხმალთა ვადიდან,
მებრძოლნი წამის დაკარგვის შიშით,
გადავარდნილნი ბარიკადიდან
მტერზე მიდიან აწ იერიშით.
რა დააკავებს შეტევას ძლიერს,
თავს დაატეხენ მეხს და სიავეს,
ბარიკადს იქით გამაგრებულ მტერს
ეკვეთნენ, მოსპეს, გაანიავეს.
შებინდებისას დაჰქროლა ქარმა

და დაილვარა სუნთქვა შვებისა,
სიმართლისათვის მებრძოლმა ჯარმა
გაშალა დროშა გამარჯვებისა.
აღმოხდა შუქი და გაანათა
უსწორო ბრძოლით განვლილი კვალი.
დაცლილი იყო ადგილი, სადაც
ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
თოვლმა და ქარმა თხრილი დასილა
და აირია ქვიშა სადები.
შუაღამეა. თოვლით ავსილა
მიტოვებული ბარიკადები.
ეძებენ დაჭრილთ ამხანაგები
საკაცეებით, ვრცელი ჩრდილებით,
სავსეა თხრილი და ბანაკები
დაჭრილებით და დახოცილებით.
ღონემიხდილი, დაჭრილი ქალი
თხრილებისაკენ კვლავ მიდის ნელა,
უკანასკნელი მას აწევს ვალი,
თუ კიდევ ძალუძს ვისიმე შველა.
და შეიძლება იპოვოს შვილიც,
უკანასკნელად მიიკრას გულზე,
ის არ ინანებს, სიტყვისუთქმელად
მოკვდეს ამ ბედზე და გაზაფხულზე.
აგერ იპოვა კიდეც ის. ხელებს
მაგრად უჭერდა იარაღს მკვდარი,
სახეზე აჩნდა საშინელ ბრძოლის
იარა, სისხლი და ნატყვიარი...

აწითლდა შორით აღმოსავლეთი,
დაჰკრა საყვირმა განთიადისამ,
ქარხნებმა ცისკენ აუშვეს სვეტი
და განახლება კვლავ იგრძნო მიწამ.
ბევრმა დალია სული გმირივით,
ახლა ქალაქებს ეალუბლება,
ამდენი მსხვერპლით და თავგანწირვით
მოპოვებული თავისუფლება.
ვინ არის მთვლელი მათი ამაგის,

შემქმნელის დიდი მომავალისა,
რწმენის, სიმტკიცის და სიამაყის
გრძნობას მარადის რომ ახალისებს?
პროლეტარიატს თუ აფოლადებს
და ერთის რწმენით უფეთქავს გული
და წინ მიიწევს, ისევ მხოლოდ ეს –
თვის კლასისადმი მძლე სიყვარული.
ბრძოლა მარადი, ბრძოლა მზადებით.
სად კი ქალაქი და ხევებია,
თუმცა არ არის ბარიკადები
და მხოლოდ მათი ნანგრევებია.
და იქ, სად ტყვიით გულალმაცერად
გაპობილია რკინა და რვალი,
ამართულია ძეგლი წარწერით:
ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

რევოლუცია! ვინ მოსთვლის რამდენს
შენთვის გულიდან სისხლი უღვრია.
პროლეტარიატს ამ ახალ გზაზე
არასდროს ქედი არ მოუხრია.
ცხრაას ხუთიდან ჰანგებს ეძებდა
დროის შესაფერს მებრძოლი ქნარი,
მაგრამ არასდროს ის არ ყოფილა
მხდალი, უძლური და მოშიშარი.
რამდენჯერ ბრძოლით დასუსტებული
იდგა მებრძოლი გულდამაშვრალი.
და ამ დროს, როგორც ზეშთაგონება,
ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
ახლა მოვიდა დრო განახლების,
კვლავ ძალა დასცემს მოსეულ ძალებს,
მაგრამ აღდგენილ თავისუფლების
დროშა იქნება და იფრიალებს.
ძალას ვპოულობთ ქარიან ხმებში,
ჰანგი სულს ხიბლავს და გულს იმონებს,
და გვიყვარს, როცა ჩაქუჩით ხელში
მებრძოლი წარსულ დღეებს იგონებს.
გმირული სული ცხრაას ჩვიდმეტის

რომელ ტილოზე არ დახატულა?
გაუმარჯვნია აღფრთოვანებას,
სასოწარკვეთა ბნელში შთანთქმულა.
დაფიქრებული ამბობს მოხუცი:
რას ფიქრობთ, მე კი არა ვგრძნობ განა,
რამდენი ახალ გამარჯვებისთვის
გამოიცვალა ზნე და ქვეყანა?
გვინდა ეს შუქი და არემარე,
გვინდა ცხოვრება, გვინდა ბუნება,
რაკი ხუნდები დამსხვრეულია
და მომავალი გვესალბუნება.
გვინდა მარადი ძმობა-ერთობის
ჰაერში დროშა დაფრიალებდეს,
გვინდა სიმტკიცის და სიამაყის
უკვდავი სული მხარეს აგზნებდეს.
იქ, სადაც ერთხელ უმეტესობას
ერთი დიადი რწმენის აქვს გული,
აფოლადებდეს სულსა და გრძნობას
მომავლისადმი მძლე სიყვარული.
სადაც ერთხელვე ბრძოლა და შრომა
ემბლემად მშრომელ მასას რგებია,
არვინ არ ნანობს, წმიდა ტაძრების
ნაცვლად თუ მხოლოდ ნანგრევებია.
მამაკაცებო, დედაკაცებო!
მზემ გააშუქა, ასწიეთ თავი!
მზემ გააშუქა, წინათ რომ რისხვით
ეფარებოდა სულთამხუთავი.
გვინდა ეს გრძნობა და გულის ძგერა
იყოს ახალი, იყოს უმანკო,
იმღერეთ, ხალხო, ეს ბედისწერა,
სასიხარულოდ აჟღერდი, ჩანგო!

[1928]

# ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ
# ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ
# ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ

## ტექსტისათვის

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომში შევიდა პოეტის მიერ 1928-1931 წლებში დაწერილი ლექსები და პოემა „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი“. აქ წარმოდგენილი ყველა ნაწარმოები, გარდა სამი ლექსისა (იხ.: განყოფილება „ცალკეული ლექსები“), თავდაპირველად გაერთიანებული იყო სამ ვრცელ პოემაში – „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“. შემდგომში ერთ კომპოზიციურ ჩარჩოში მოქცეული, ლირიკულ-პუბლიცისტური ფრაგმენტებისგან კონსტრუირებული ეს პოემები ავტორმა ლექსებად დაშალა, მათი ერთი ნაწილი დაასათაურა და ციკლების სახით გამოაქვეყნა თხზულებათა მეორე ტომში (1935). ფრაგმენტების საგრძნობი რაოდენობა ამ გამოცემაში ვერ მოხვდა. მოგვიანებით გალაკტიონმა კიდევ რამდენიმე ლექსს მისცა სათაური და კრებულებში შეიტანა, მაგრამ მისი სურვილი, რომ სამომავლოდ ციკლებში გამოტოვებული ფრაგმენტებიც დაებეჭდა, პოეტის სიცოცხლეში არ განხორციელებულა.

წინამდებარე ტომში, ავტორის უკანასკნელი ნების შესაბამისად, ლექსები დაბეჭდილია სამ ციკლად, ამასთან, გათვალისწინებულია ციკლების სრულად წარმოდგენის სურვილიც. გალაკტიონის მიერ შერჩეულ ლექსებს სათაურები აქვს, ციკლს გარეთ დარჩენილი ტექსტები კი უსათაუროა. თითოეულ ციკლში ლექსები განლაგებულია იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს პოემებში იყო. ამის შედეგად, მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, კომენტარების მოშველიებით, შეუძლია სრული წარმოდგენა შეიქმნას თავდაპირველ პოემებზეც, როგორც ერთი გამჭოლი იდეით გაერთიანებულ ფრაგმენტთა კომპოზიციურ ერთობაზე; მით უფრო, რომ პოეტის გვიანდელი ჩანაწერის მიხედვით, მას ციკლის ფორმიდან პოემის ჟანრთან დაბრუნება ეწადა.

ჩვენს გამოცემაში დავაბრუნეთ „ეპოქის“ ოთხი ფრაგმენტი („***ასე, ამგვარად“, „***მის წლოვანების შესაფერ ფიქრებს“, „***ან კიდევ აგრე“, „***როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა“), რომლებიც თთ-ში შეტანილია გამოუქვეყნებელ ლექსებში ან გამოტოვებულია.

ციკლებში ლექსებს თარიღები უშუალოდ არ აქვს მიწერილი, რადგან, გარდა ორიოდე გამონაკლისისა, ყველა ნაწარმოები, პირობითად, პირველი პუბლიკაციის მიხედვით თარიღდება. საერთო თარიღი მითითებულია თითოეული ციკლის სათაურთან, მაგრამ არა პუბლიკაციის, არამედ – შექმნის სავარაუდო დროის გათვალისწინებით: „ეპოქა“ [1928], „პაციფიზმი“ [1929], „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“ [1930].

ტომში არ შეგვიტანია 1928-1931 წლების ლექსები, რომლებიც პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, ისინი სხვა დაუბეჭდავ ნაწარმოებებთან ერთად ცალკე ტომში მოიყრის თავს.

ტექსტი დადგენილია ყველა ხელმისაწვდომი ავტოგრაფისა და პოეტის სიცოცხლეში გამოცემული ბეჭდური წყაროს მიხედვით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ძიებამ გამოავლინა პოეტის არაერთი ავტოგრაფი, რომლებიც დაფიქსირებული არაა თთ-ში და ჩვენს გამოცემაში აისახა.

ტექსტებში დაცულია ავტორის ენის თავისებურებანი, მისი მართლწერა და, შეძლებისდაგვარად, პუნქტუაციაც. აშკარა კორექტურული შეცდომები გასწორებულია მითითების გარეშე, ხოლო შემჩნეული პოეტიკური ხარვეზები და მცდარი წაკითხვანი, აგრეთვე იშვიათი რედაქციული ჩარევები ან ვარიანტებშია გატანილი, ან შენიშვნებშია განმარტებული.

განყოფილებაში „ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები" წყაროებზე დაყრდნობით ასახულია ყველა ავტორისეული ვარიანტი. საჭიროების შემთხვევაში, განმარტებულია ლექსებთან დაკავშირებული ესა თუ ის რეალია, ზოგჯერ მითითებულია სპეციალური ლიტერატურაც.

## **პირობითი ნიშნები და შემოკლებანი**

ვარიანტების ჩვენებისას გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

**+** ტექსტს ემატება (მაგ. **მსოფლიოს + საბოლოოდ B.** ნიშნავს: B ვარიანტში სიტყვას „მსოფლიოს" ემატება „საბოლოოდ")

**–** ტექსტს აკლია (მაგ. **სილამაზე] – BD.** ნიშნავს: BD ვარიანტებში არ არის სიტყვა „სილამაზე")

**]** ნაცვლად (მაგ. **ბოძთან] ერთხელ BCDE**. ნიშნავს: BCDE ვარიანტებში სიტყვის „ბოძთან" ნაცვლად იკითხება „ერთხელ")

**~** გადაადგილებულია (მაგ. **ჯარისკაცს ვკითხავ ~ B.** ნიშნავს რომ B ვარიანტში ეს სიტყვები გადაადგილებულია).

***** პირვანდელი ტექსტი გადახაზულია (მაგ. **ჩამოვართვათ] გავუწოდოთ* B.** ნიშნავს: B ვარიანტში იყო სიტყვა „**გავუწოდოთ**", რომელიც ავტორს შეუცვლია სიტყვით „**ჩამოვართვათ**"; ან კიდევ: **რიონჭესი] რიონგესი B*EG.** ნიშნავს: E ვარიანტში იყო სიტყვა „რიონგესი", რომელიც პოეტს შეუცვლია სიტყვით „რიონჭესი", ხოლო დანარჩენ ორ ვარიანტში (BG) ეს ცვლილება არ განუხორციელებია.

თთ – გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბ., 1966-1975.

სგ – გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე", თბ., 2005-2008.

# ეპოქა

„ეპოქა“ თავდაპირველად პოემის სახით დაიბეჭდა. ციკლის ფორმა ტექსტმა 30-იან წლებში მიიღო (1935).

„ეპოქის“ ტექსტიდან ამოღებულია ოთხი ადრე დაწერილი და გამოქვეყნებული ლექსი – „დამშვიდდი, ქარო“ (1924), „აღმოსავლეთი“ (1924), „ქალაქი წყალქვეშ“ [1926] და „აყვავილებულ ველებს სალამი“ (1924), რომლებიც დაბეჭდილია ჩვენი გამოცემის მესამე ტომში. „ეპოქას“ გამოეყო აგრეთვე ორი ვრცელი ფრაგმენტი, რომლებსაც გალაკტიონმა მოგვიანებით პოემების სახე მისცა. ესენია: „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი“ და „იგი – ომია“.

ცალკე წიგნად გამოცემული „ეპოქა“ ამგვარი მიძღვნით იწყება:

„დელეგატს კომინტერნის მე-VI კონგრესისას მარჯორი პოლიტს და თორმეტ დელეგატს იმავე კონგრესისას (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ესპანია და სხვ.); რომლებთანაც ერთად ვმოგზაურობდი საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში კონგრესის დასრულების შემდეგ, ამ წიგნს ვუძღვნი.

ავტორი.

ტფილისი. 1 აგვისტო. 1929 წ.“

## ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია (გვ. 7)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 226 (B); 225 (C); 8776 (D).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1929, №2-3, გვ. 3 (E); „ეპოქა“, 1930, გვ. 5 (F); თხზულებანი, II, 1935, გვ. 103 (A); ლექსები, 1937, გვ. 24 (G); ლირიკა, 1940, გვ. 20 (H); რჩეული, 1944, გვ. 72 (I); ლექსები, 1953, გვ. 23 (J); რჩეული, 1954, გვ. 22 (K); რჩეული, 1959, გვ. 111 (L).

**სათაური:** ლექსი, დაწერილი ჟურნალ „მნათობის“ 5 წლის არსებობის გამო BE.

**თარიღი:** 1927 KL; 1929, ტფილისი B; 1936 I; – ACEFGHJ.

**2-17** ცეცხლივით... ისტორიას] – C. **2** ცეცხლივით ჩვენი ... ხანა] ცეცხლივითაა ჩვენი ეპოქა* B] ცეცხლოვანია დღეს ეპოქა* B. **4** რული და მშვიდი] ნაზი და ტკბილი B. **5** ქარიშხლის ხმებით] ფრთების გრიალით B. **6** ელავს] დადგა B. **7** ეს... აგური] ეს ხუთი წელი, ხუთი აგური BE. **8** დამკვიდრდეს, როგორც] მიიღეთ ჩვენგან*

B. **10** მრავალმა წელმა გაასწრო] ეს ხუთი წელი გამოსცდა*B. **11** დრო ისევ] და მასსა B. **12** ალს] ცეცხლს J. **13** აზოზოქრებას] რევოლიუციას! B. **14** ალებრ მნათი] ყოველ წუთით BE. **15** ხავსმოკიდებულს] ბოლოს და ბოლოს* B. **16–17** ააყირავებს... ისტორიას] თუ ელოდება ეს წელი ხუთი, ხუთი ათასი წლის ისტორიას BE. **18-41** მჭიდრო... აზოზოქრებას] – B. **19** დღეს... არასდროს] როგორც დღესაა იგი საჭირო* C. **20** რევოლუციონურ] იმპერიალისტურ* C. **21** ამღელვარებამ... გაგასწროს] მღელვარებამ რომ არ გადაგასწროს![1] C. ამ სტრიქონის შემდეგ C-ში გადახაზულია:

ვამაყობთ ყველა სრული შეგნებით,
ბრძოლით, სიცოცხლით და გამარჯვებით,
მემატიანეს შემდეგ ვექნებით...

**23** იგრგვინებს] გუგუნებს C. **24–25** ჩვენ... აქ არი] ჩვენ სიმღერაში ვიქნებით ერთად, ჩვენი სიმღერაც, სწორედ იქ არი* C. ამ სტრიქონის შემდეგ C-ში გადახაზულია:

ერთის წამითაც ჩვენ ხელოვნებას
არ ვყოფთ ეპოქის მკაცრი ჰაერით,
შენ, ახალგაზრდა გამენის ტიპის,
მე კიდევ კაცი სულ სხვანაირი.

**26** ხელოვნებათა... ჩქარი] ო, ვისაც არხევს შური მგზნებარე* C] შენც, ხელოვნების ცეცხლო[2], მნათობო C. **27** ეპოქის გვერდით] და გზას სცილდები?* C. **28** არის] დაგრჩა C. **29** სტრიქონის შემდეგ („ხვალინდელივით იქნება ცხადი“) C-ში გადახაზულია:

ჩვენ გავიარეთ ნაწილი გზისა,
სხვა გამოცანის ვდგევართ წინაშე,
თუ რა შორსა ვართ იმ ნაპირისგან
გემის ბაქანზე დღით რომ ავედით,
ჩვენ ვართ[3] შუაგულ ოკეანეში
და ახალ[4] ნაპირს ვუახლოვდებით.

---

1 იყო: ახმოვანებამ რომ არ დაგასწროს.

2 იყო: ხელოვნებისა შუქო.

3 იყო: ეხლა.

4 იყო: სულ სხვა.

**30** ხომ განვლილია] ჩვენ გავიარეთ* C. **31** ამოცანა – აღმოსავლეთით] ვჭვრეტთ ვარსკვლავეთით* C. **32** როგორ] ო, რა* C. **33** გზით] ჩვენ* C. **34** ოკეანესი ქუხს შუაგული] ვართ ჩვენ შუაგულ ოკეანეში* C. **36** მზე... შემოდაგული] მიაღწევს ნაპირს გზა დანაგული* C] მნათობი[1] ბრძოლით გადადაგული* C. **37** სტრიქონის შემდეგ (...მნათობს) C-ში გადახაზულია:

> ინდუსტრიალი ალთა ტრიალში
> გრიალებს მთა თუ ელავს ნამგალი,
> ჩვენი მხურვალე სალამი „მნათობს“!
> რომ კიდით-კიდე, სანამდის თვალი
> კაცობრიობის გასწვდება, ქუხდეს
> უკვდავი ინტერნაციონალი.
> სალამი ხანას რომ გასცდა[2] ჩარჩოს
> დროშას, რომლის ქვეშ ველით მოკრებას[3],
> მსოფლიოს ნგრევის4 დროს გაუმარჯოს,
> მსოფლიო გულის5 აბობოქრებას.

ქ. „მნათობის“ პირველი ნომერი გამოიცა 1924 წლის მაისში. გალაკტიონი მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, სარედაქციო კოლეგიის წევრი და მუდმივი თანამშრომელი იყო. ლექსი, როგორც E ვარიანტის სათაური მიუთითებს, დაიწერა „მნათობის“ საიუბილეოდ – ხუთი წლისთავზე, შემდეგ კი შევიდა პოემაში „ეპოქა“, როგორც მისი პროლოგი.

პროლოგის ფუნქციის მქონე პირველ ლექსს „ეპოქაში“ მოსდევს „იგი – ომია“ (გვ. 7-22) და „აღმოსავლეთი“ (გვ. 23). ამ ტექსტებს აქ არ ვბეჭდავთ, რადგან „იგი – ომია“ პოეტმა 1935 წელს დამოუკიდებელ პოემად აქცია და ჩვენს გამოცემაში შესაბამის ადგილას ქვეყნდება (ტ. V, გვ. 173). რაც შეეხება „აღმოსავლეთს“, ის დაწერილია 1924 წელს და შევიდა მესამე ტომში (გვ. 64).

---

1 იყო: მიზანი.
2 იყო: სცდება.
3 იყო: რომელიც მიუძღვის ხანას.
4 იყო: რღვევის.
5 იყო: ახალ მსოფლიოს.

## ეპოქა იშვა და გაიზარდა (გვ. 8)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 28897-50, გვ. 28 (B); 8772 (C); დ-37, გვ. 3763 (D).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №5-6, გვ. 55 (E); „ეპოქა“, 1930, გვ. 27 (F); თხზულებანი, II, 1935, გვ. 125 (A); ლექსები, 1953, გვ. 59 (G); რჩეული, 1954, გვ. 55 (H); რჩეული, 1959, გვ. 144 (I).

**სათაური:** ეპოქა B; Ars poetica C; – BEF.

**თარიღი:** 1929 I.

B-ში წარმოდგენილია ლექსის 42-50 სტრიქონები (მრავალთან... მწარე), C-ში 35-66 (რა... ასცილდება), ხოლო D-ში – 35-42 (რა... დაეკისრა) და 47-70 სტრიქონები (არის... ჯერ არ ნახული).

**2** ეპოქა იშვა] ის წარმოიშვა E. **4** ტყვიისმფრქვეველის] ქვემეხ-ტყვიამფრქვევთ HI. **9** აღგზნებულნო ენტუზიაზმით] აღგზნებულო ენთუზიაზმით HI. **11** იყო... წლის] – A] გმირული რწმენით და თავდადებით HI; ოცდაერთი] არაერთი G. **16** მხარეს] ტფილისს EF. **26-27** სტრიქონებს შორის (ჯურისა... მისი) EF-ში წერია:

ვის შეუძლია უსაყვედუროს,
რომ მას არ ჰქონდა მშრომელთა ცნობა,
დიდი შეგნება და მოხერხება
და უდიდესი სიმტკიცის გრძნობა?

**27** დაბუგული] დაგუბული HI.

CD ავტოგრაფები 35 სტრიქონიდან იწყება (რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა...) და განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. C-ში ლექსის პირველი თხუთმეტი სტრიქონი ამგვარად იკითხება (სქოლიოში ჩაგვაქვს D ვარიანტის სხვაობები):

ათასი ლექსით
დანგრევის გარდა,
ვგრძნობთ ამთოვრებას,
რევოლუციამ ახადა ფარდა
ცოცხალ ცხოვრებას[1],

---

[1] ამ სტრიქონის შემდეგ: რევოლუციამ ფარდა ახადა ცოცხალ სიცოცხლეს* D.

მასსის[1] მძლეობა
გაეშვა ისრად –
პასუხისგება, მოვალეობა,
როგორც პოეტებს[2] ჩვენც დაგვეკისრა,
რომ ქვეყანაზე არ იყოს[3] მცნება:
„არ მოხერხდება[4], არ შეიძლება“!
ჰაის და ჰოის
ხმა ხომ ქვევრია
და შეცდომები ახალი დროის
ბევრზე ბევრია[5].

D ვარიანტში C ვარიანტის მეთერთმეტე სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: ამიტომ სწრაფად / ამიტომ მალე / გადავაბიჯოთ, / შეცდომა პოვეს – / რა ამბავია? **43** იყო] იყოს B. **47** არის... ისე] რაღა თქმა უნდა, ბევრზე* B[6]EF. 48 შენდება მხარე ~ *D. **50** ხარაჩოებში, ხე-ტყეში, მწარე] როცა შენდება ახალი მხარე B. **51** მუდამ] ზოგჯერ HI. **53** ჟვერი] მტვერი* D. **52** იქ] აქ CDG. **57** მიმართება] და მათზე* C] შრომა ომით C] მთაზე შრომა D. **59** მიიმართება] მიემართება CD. **60-67** სტრიქონები (ხუროთმოძღვარი... მტვერი) G და D ვარიანტებში გადაადგილებულია და 71-ე სტრიქონის (... რევოლუციონური) შემდეგ არის მოთავსებული. **61** რომ] ხომ C. **61-62** სტრიქონებს შორის (რომ... შთაგონებით) D-ში წაშლილია სტრიქონი: ახალი დროის ხუროთმოძღვარი. **62** ახალით] ახალი CD; და შთაგონებით] ზეშთაგონებით CD. CD-ში ამ სიტყვის წინ გადაშლილია: შემოქმედებით. **63** იგი არასდროს] ის, რა თქმა უნდა CD. **64** ეხლაც] ახლაც CDH; უფრო] ძველი C. **65** მოაწესრიგოს სუყველაფერი] შორს გადაზიდოს, არეკოს ჟვერი C] შორს გადაზიდოს, გადაიტანოს* D] შორს გადაზიდოს, აჰკრიფოს ჟვერი D. **66** მშენებლობას რომ არ ასცილდება] შენებლობასთან უცილობელი CD. **67** ზედმეტი ქვა და] –

---

1 მასსის] მრავალთ D.

2 როგორც პოეტებს] – D.

3 დედამიწაზე ნუ არის* D.

4 არ მოხერხდება] – D.

5 ბევრზე ბევრია] უამრავია; გადახაზულია და მიწერილია: ბევრჯერ ბევრია D.

6 სტრიქონთან არის გალაკტიონის მინაწერი: „ცენზორის შენიშვნა: არის აქა-იქ“.

CD; ზედმეტი მტვერი] შეცდომა, მტვერი CD. ამ სტრიქონის შემდეგ C-ში ემატება:

მატარებელში მე[1] ამ სტრიქონებს
ვწერდი[2] რეფლექსით,
სალამი ტფილისს, პოეტებს,
ათასი ლექსით!!!

**68** და მასზე ცაა გადასახული] შორს ლურჯი ცაა გამოსახული CD. D-ში ამ სტრიქონის წინ გადახაზულია: ჯერარნახული. **69** შენობა მძლავრი] – C; არამონური] და სიონური D. **70** უზარმაზრი] – CD. **71** რევოლუციონური] რევოლუციური GHI.

**ჯორჯ ნათანიელ კერზონი** (1859-1925) – ინგლისელი პუბლიცისტი, სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1919-1924); საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1920 წლის ივლისში, საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის ომის დროს, საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა ნოტა, სადაც მოითხოვდა წითელი არმიის შეტევის გაჩერებას ანტანტას საბჭოს მიერ 1919 წლის დეკემბერში პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრად დადგენილ ხაზზე („კერზონის ხაზი“).

## ***საღამოხანად მთაწმინდას რომ დაფარავს ნისლი (გვ. 10)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50, გვ. 6 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №5-6, გვ. 56 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 30 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 128 (E); რჩეული, 1944, გვ. 108 (A).
**სათაური:** – CD.

**34-35** სტრიქონებს შორის (სიხალისეა... ო, მეგობარო) CDE-ში ემატება:

აქვე კი გვერდით
უცნაური კამათი ისმის.
საკითხს სვამს ცაკი,

[1] მე] ვწერ*
[2] ვწერდი] სავსე*.

არა ერთხელ, ისევ-ისევე –
რომ ამერიკის
გიგანტიურ კაპიტალიზმის
ზრდას – იარაღით
სურთ შეებან ინგლისელები.
ხვალ, შეიძლება,
ჩაესვენოს ინგლისის ბედი
და ამას მოჰყვეს
გართულება თავისი რიგით,
ჯერარნახული,
შეიძლება, ავარდეს სვეტი
და ბევრი, ბევრი
რამ გაისმის
თქვენს ოთახს იქით.

**35** ო, მეგობარო] გამოერკვიეთ* BCDE. **41** სულ სხვანაირი] სოციალური* BCDE.

## იმიტომ ხდება რევოლუცია (გვ. 12)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8776, გვ. 67-68 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №5-6, გვ. 56 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 31 (D); თხზულებანი II, 1935, გვ. 131 (E); რჩეული, 1944, გვ. 67 (F); რჩეული, 1954, გვ. 24 (G); რჩეული, 1959, გვ. 74 (A).

**სათაური:** – CD.

**თარიღი:** 1927 AG.

CDE-ში ლექსი ასე იწყება:

იმიტომ ხდება რევოლუცია,
რომ გაიფანტოს აზრაკადაბრა,
პოეტი ეხლა ამერიკანულ
მიღწევებიდან არ მიდის დაბლა.

**3** იგრიალებს] დაფარფატებს CDE. **20** მასობრივ] მასიურ* CDEF.

## დაკვირვებიხარ ტრიალა კარებს? (გვ. 12)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 583-დ, გვ. 133 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“ 1928, №5-6, გვ. 57 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 31 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 133 (A).

**სათაური:** – CD.

მსუსხავი ქარი დაჰქრის[2] გამოღმა
და თოვლს ახვავებს[3] უკუღმა-წაღმა.

**2** მატარებელიც... თუჯის] მატარებელი ჩემია თუჯით* B. **4** იქ... ელგუჯას] იქ, სადაც გზაზე არეს ელგუჯა* B. ამ სტრიქონის შემდეგ B-ში დაწერილია და გადახაზული: ჭავჭავაძეებს და საიათნოვებს. **5** სად... ფანტომებს] – B. **6** უცებ... მოისმენს] ტრაქტორის და შეპყრობილ[4] მის გუგუნს ისმენს B. **9-10** სტრიქონებს შორის გადახაზულია „იქ, სად დიდებულს მისსა მყინვარსა / ორბი არწივი თუ შესწვდენია B. **10** ახალთახალ გზად] ელვის შუქებად B. **11** ელვათა მფენი] თქვენი და ჩვენი* B. **13** ერთხელ ბელტებში] მოულოდნელად B] სწორედ იმ გზაზე* B. **14** და] იქ* B; და... სიკვდილი] სად მწუხარება* B. **17** რომ... გაღმა] რომ ქარმა ჰკითხოს უკუღმა წაღმა* B] ელექტრონად იფეთქოს ნაღმმა B] რომ ელექტრონის იფეთქოს ჭაღმა G] რომ ელექტრონის იფეთქოს ნაღმმა H. **18** სად... მითებით] კი სადაც მიუვალია* B. **20** ჰაეროპლანის] აეროპლანის G. **21** კინო] წიგნი B. **22** ყველაფერს... წაერთო] საერთო ჯამი, საერთო კოკა* B. **25** ამისთვის იბრძვის] ასეთი არის* B.

**ფანტომი** – უჩვეულო მოვლენა, მოჩვენება-მოლანდება.
**ტრიერი** – სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

---

[1] იყო: უბედური ქარი ჰქრის.
[2] იყო: მატარებელი მიჰქრის.
[3] იყო: ქარი დაჰქრის.
[4] სიტყვა, რომელიც აქ მანამდე ეწერა, არ იკითხება.

## ყველაფერს ხედავს (გვ. 148)

**ხელნაწერი**: ავტოგრაფი 4769 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 6 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 201 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 340 (A).

**სათაური:** შრომის დიდება B; – CD.

**2-9** ის... უადვილებს] – B. **10** წიაღთაგან] წიაღიდან B. **11** თუ ელვარებს თეთრი] მოჩქრიალებს ცელქი B. **12** წმინდა] წმიდა B. **13** სიმღერა] დუდუნი B. **15** მძლავრი] უცხო B. **17** მავთულები] მძლავრი ზვირთი B. **21** ყოველგან] ზეცაში B; მისი] შრომის B.

## ერთხელ საღამოთი (გვ. 148)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8800 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 6 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 202 (D); რჩეული, 1944, გვ. 146 (A); რჩეული, 1959, გვ. 84 (E).

**სათაური:** – CD.

B-ში თითოეული სტროფი დასათაურებულია: 2-5 (ბათუმის... ასე) სტრიქონებს სათაურად აქვს: „საღამო ხანს – ზღვისპირად“; 6-7 (მახსოვს... ბაღი) სტრიქონებს: „ბაღში – ვერონიკა“; 8-11 (ვერონიკას... ნახვა) სტრიქონებს: „მარტოობა – ვერონიკა“; 12-15 (მეგობრებში... ქალი) სტრიქონებს „სალამი და თაიგული“; 16-19 (რა... ქაღალდს) სტრიქონებს: „რა წრის იყო?“; 20-23 (შემდეგ... ჰგავდა) სტრიქონებს: „რამდენიმე წლის შემდეგ“; 24-27 (გამოვედი... გუნდი) სტრიქონებს: „ნევის ნაპირად“; 28-31 (ვერონიკა... მიდის) სტრიქონებს: „კლასი – კლასის წინააღმდეგ“; 32-35 (მე... რაღაცგვარი) სტრიქონებს: „წყალთან“; 36-39 (გავცქეროდი... ქაღალდს) სტრიქონებს: „მოგონებანი ხელგაშლილი ცხოვრებისა“; 40-43 (მეორე... ღირსი) სტრიქონებს: „მეორე დღეს“; 44-47 (ამ... ჩვენი) სტრიქონებს: „საქართველოს მომავალი“; 48-51 (ერთხელ... მეტი) სტრიქონებს: „სალამი და ყვავილების კონა“; 52-55 (ის... კარგი) სტრიქონებს: „ო, ის დღე“; 56-59 (ვერონიკა... ქაღალდს) სტრიქონებს: „ჩვენ ხომ“; 60-63 (კლასი... ჭახაჭუხი) სტრიქონებს: „თოფების ხმა რომ გაისმა“; 64-67 (ვერონიკა... თოვლში) სტრიქონებს: „დაჭრილი“; 68-71 (ვერონიკა... ვერა) სტრიქონებს: „რაღაცასი გახსენება სურდა“; 72-75 (ან... ვერკა) სტრიქონებს: „ან კი როგორ?“; 76-79 (ან... ქაღალდს) სტრიქონებს: „აი, სად იყო განსხვავება“.

**2** ბათუმის მზე] ჰორიზონტი B. **5** გემს უცდიდა] ვინმე შემხვდა BCD. **6** მახსოვს... ვერონიკა] ვერონიკა, დაფიქრებით B; მახსოვს] ერთი CD. ამ სტრიქონის შემდეგ BCD-ში ემატება: „მიდიოდა გია-ცინტით ხელში“. **7-8** სტრიქონებს შორის B-ში ემატება: „მას მოწ-ყენა მოსდგომოდა ყელში“. **10** ჩამოსულთა] უცხო ქვეყნად BCD. **11** ნაცნობის] ვისიმე B. **13** ფიქრში... ქალს] უცხოელ ქალს BCD. **20** შემდეგ მოხდა] მოხდა ასე B. **21** ახლობელი... არავინ] აქ ნაცნობი არავინა BCD. **23** უმიზნო] საშინელ B. **25** შენისლების] ანისლების B. **26** ერთ... გადაედო] ქალს ნაზ მხრებზე გადაედო B] ქალს ნაზ მხრე-ბზე გადაეგდო CD. **33** სადაც მღვრიე დამდგარიყო] მღვრიე ღვარზე ირეოდა B; დამდგარიყო] ირეოდა CD. **37** მივყვებოდი] ვიგონებდი BCD. **48** ერთხელ] მაგრამ BCD. **53** საუცხოო] საუცხოვო BCD. **55** დღეზედ] დღეზე BE. **65** ბოლში] კომლში* B. **73** ეპყრა] ეპყრო ACD. **74** უწოდებდნენ] უწოდებდენ CD. **75** კალუგელი ვერკა] ირკუტსკელი თებრო B; ვერკა] თებრო CD.

**პაოლო ვერონეზე** (1528-1588) – აღორძინების ხანის იტალიელი ფერმწერი.

ლექსის შესახებ იხ.: მ. ჯგუბურია, გალაკტიონის ერთი ლექსის გამო, კრ. გალაკტიონოლოგია, III, თბ., 2004, გვ. 207-215.

### ***ეხლა „დენდი“ დარაბის... (გვ. 151)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1888 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 7 (B); „ეპოქა“, 1930, გვ. 205 (A).

**1** ეხლა „დენდი“ დარაბის] მოსწოლია დარაბას C.

### ***ოცნება იგივ სინამდვილეა... (გვ. 151)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1901 (B); 4769 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 7 (D); „ეპოქა“, 1930, გვ. 206 (A).

**სათაური:** თუ შრომის ხმებით C.

**1** ოცნება] ოცნებაც C. **4** ხელმარჯვედ] ხმამაღლა C.

### ***თქვენი წიგნია: ქართველი ქალი... (გვ. 152)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1901 (B); 4769 (C);
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 7 (D); „ეპოქა“, 1930, გვ. 206 (A).
**სათაური:** მეორე ენა: შრომა C.

**1** თქვენი] შენი B. **3** თქვენ] შენ B; გავიწყდებათ] გავიწყდება B. **5** როს მსოფლიოში დაისადგურებს] როცა დადგება სოციალიზმის C.

### აწ რკინადაა გული ქცეული (გვ. 152)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 4769 (B); 28897-50, 127 (C).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 8 (D); „ეპოქა“, 1930, გვ. 206 (E); თხზულებანი, II, 1935, გვ. 342 (A).
**სათაური:** გული რკინადაა ქცეული B; – DE.

### უცდიან ახალ მიქელ-ანჯელოს (გვ. 152)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4769 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“ 1928, №11-12, გვ. 8 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 207 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 343 (A).
**სათაური: – CD.**

B-ში ლექსი სამ ნაწილადაა გაყოფილი და თითოეული ნაწილი დასათაურებულია: 2-5 (ის.. მიქელ-ანჯელოს) „ახალ მიკელ-ანჯელოს“; 6-9 (ვისაც... ნთებული) „აღარ ვერწმუნოთ შრომას“, ხოლო 10-17 (დღეს... მხარეში) „შრომა და პოეზია“.

5 მიქელ-ანჯელოს] მიკელ-ანჯელოს CD. 9 ნთებული] ვნებული B.

**მიქელანჯელო ბუონაროტი (1475-1564) –** აღორძინების ხანის დიდი მოქანდაკე, მხატვარი და ხუროთმოძღვარი.

### ***როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა (გვ. 153)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 8 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 208 (A);

**სათაური:** როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა* B.

**2** კიოდა] კივოდა B.

## არგონავტები ახალი დროის (გვ. 153)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 8 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 208 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 345 (A); კრ. „ახალი კოლხიდა“, 1937, გვ. 70 (E); რჩეული, 1944, გვ. 151 (F); რჩეული, 1944, გვ. 151 (G); „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, 1944, გვ. 99 (H).

**სათაური:** ვით ძველი დროის არგონავტები* B; – CD.

**ეპიგრაფი:** ოქრო, თვალი, მარგალიტი / შვენიერი სანახავად,/ ყველგან იდვის ვითა გორი. შოთა რუსთაველი H.

**2** ახალი] ვით ძველი B. **3, 8** მიეშურებით] მიეეშურებით B. **10** თქვენ... გაშინებთ] ჩვენ არ გვაშინებს B; ზვირთების] ზვირთები B. **11** დაბრკოლებანი] და უგონობა B. **12** თქვენი] ჩვენი B. **13** ახალ] ძველი B.

**არგონავტები** – იხ. კომენტარი ამავე სათაურის ლექსისა (გვ. 397).

## კატორღიდან დაბრუნებულს (გვ. 154)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 4788 1 (B); 4788 2 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 8 (D); „ეპოქა“, 1930, გვ. 209 (E); თხზულებანი, II, 1935, გვ. 346 (A).

**სათაური:** – CD.

B-ში და C-ში დასათაურებულია ლექსის ცალკეული სტროფები: „მრავალი გრიგალი“ B, „ომი ომს“ C, „ნავთი, ქვანახშირი, ოქრო, ჰაერი“ C.

**2-5** შენს... გუბერნია] – C. **4** უმიწოდ] ბოგემა B. **5** და] ხან B] ან

CD. **6-13** დღეს... ჰაერი] – B. **8** შენ დაამტკიცე] მათ დაამტკიცეს CDE. **10** შენ ... მკვიდრი] ჩვენ ჩვენი ქვეყნის მარადისნი არა ვართ მკვიდრნი CDE. **11** შენია და შენნაირი] ჩვენია და ჩვენნაირი CDE.

## მეცნიერება მედგარ შრომასთან (გვ. 154)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4788 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი", 1928, №11-12, გვ. 8 (C); „ეპოქა", 1930, გვ. 209 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 347 (A).

**სათაური:** – CD.

B-ში დასათაურებულია ლექსის ცალკეული სტროფები: 2-5 (დეკემბერია... ფორმულას) სტრიქონებს სათაურად აქვს „ზამთარი", 6-9 (უნდა... შეაერთო) სტრიქონებს – „მეცნიერება და შრომა", 10-13 (შრომა... კრემატორია) სტრიქონებს „კრემატორიასთან", 14-17 (მე... ბეხტერევი) სტრიქონებს: „კედლის გაზეთი".

**3** სუსხი] ბედი B. **4** სად... გენია] დიდი გენია წევს ხის კუბოში* B. **5** მოიგნებდა მრავალ] კიდევ იგონებს ახალ B] კვლავ იგონებდა მრავალ CD. **6** უნდა... უნდა] ამ მეცნიერმა ბევრი რამ B. **7** ამოებაში კი არ] ის კაბინეტში კი არ B] ოცნებებში არ უნდა CD]. **13** იწვევს] მხოლოდ B. **15** ოქტომბრის] ოკტომბრის B. **17** მიღწევა] მიხწევა BCD.

**ვლადიმირ ბეხტერევი** (1857-1927) – გამოჩენილი რუსი ფსიქიატრი და ნევროლოგი. ლექსი ეხმაურება მეცნიერის გარდაცვალებას.

## გულში ცეცხლია (გვ. 155)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4786 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი", 1928, №8-9, გვ. 38 (C); „ეპოქა", 1930, გვ. 210 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 348 (A); რჩეული, 1944, გვ. 150 (E); რჩეული, 1954, გვ. 139 (F).

**სათაური:** – CD.

B-ში დასათაურებულია ლექსის ცალკეული სტროფები: 2-9 (გულში... დაუდეგარი) სტრიქონები: „გულში ცეცხლია, ტყეში ცეც-

ხლია“, 10-13 (ჰანგთა... თავდავიწყებით) სტრიქონები: „ჩვენ რასაც ვმღერით, მას გული მღერის“.

**თარიღი:** 1916 F.

**5** არის] ფშვინავს* B. **9** დაუდეგარი] თვითონ დამწვარი B. **13** ისევ ცეცხლოვან] მღერის ველური B] განუსაზღვრელი CD.

## მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე (გვ. 155)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4786 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 9 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 211 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 349 (A); რჩეული, 1944, გვ. 148 (E); რჩეული, 1954, გვ. 42 (F); რჩეული, 1959, გვ. 120 (G).

**სათაური:** მინდვრები, ხვალ რომ დაიბადება B; – CD.

**თარიღი**: 1929 F.

**3** სჩანს] ჩანს FG.

## მამა და შვილი (გვ. 156)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4786 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 9 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 211 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 341 (A).

**სათაური:** – CD.

B-ში დასათაურებულია ლექსის ცალკეული სტროფები: 2-5 (ეგ... სავალალო) სტრიქონები: „მომავალი აქედანვე უნდა ვიცოდეთ“; 6-11 (ახალი... შვილი) სტრიქონები: „ახალი მამა და ძველი შვილი“.

B ვარიანტის დასაწყისში გადახაზულია:

ო, მომავალო, ნეტა ვიცოდე,
რა სახით დაგწვავს სტიქია ჩქარი,
წუნარი სიმღერით მიეგებები,
თუ ხმაველურად იგრგვინებს ქნარი.

**8** მთლად გაფითრებულ] და ღონემიხდილ B. **9-10** სტრიქონებს შორის (გაფითრებული... მთელი) CD-ში ემატება: „გარედ მრისხანედ გრიალებს ქარი“, რომლის ნაცვლად B-ში ვკითხულობთ: „გარედ მრისხანედ დაფრინავს ქარი“. **10** თემაა] ტემაა BCD. BCD ვარიანტებში ბოლოში ემატება გამეორებული „ახალი მამა და ძველი შვილი“.

## ***ეუბნებოდენ – სთქვიო ზღაპარი... (გვ. 156)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4786 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 9 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 211 (A).

**სათაური:** ზღაპარი არ არსებობს B.

**3** იგი] ტკბილი B.

## აჰა, თენდება (გვ. 156)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4659 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“ 1928, №11-12 გვ. 9 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 212 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 350 (A); რჩეული, 1944, გვ. 150 (E); რჩეული, 1954, გვ. 209 (F); რჩეული, 1959, გვ. 120 (G).

**სათაური:** – CD.

B-ში დასათაურებულია ლექსის ცალკეული სტროფები: 2-9 (აჰა... ფუტკარი) სტრიქონები: „მიდის ღრუბელი – ლურჯი ფუტკარი“*, ხოლო 10-17 ( ისარივით... დამკვიდრებული) სტრიქონები: „პროპელლერი“*.

**თარიღი:** 1926 F.

**7** ფრთანათუთქარი + ტკბილი ოცნების B. **10** ისარივით... აინავარდა] ისარმა მაღლა გაინავარდა B. **11** პროპელერი] პროპელლერი B. 13 განახლებული] განუწყვეტელი B.

### ***მთელი ქვეყანა რომ გადაიწვეს (გვ. 157)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4739 (B);

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 9 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 213 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 352 (A); რჩეული, 1954, გვ. 99 (E); რჩეული, 1959, გვ. 554 (F).

**სათაური:** და მაინც კვნესდე E.

**თარიღი:** 1928 E.

**3** არ დაიწვება] კი არ დაიწვის E. **4** ერთი ხე რაა] რადგან არ-არა* B. **6** დააცხრა] დააჯდა* B. **7** მის მდიდარ ჯიბეს] მათხოვრის კალთას* B] მდიდარის ჯიბეს* B. **8** ის] იგი B; გადააგდებს] გააგ-დებს B. **8-9** სტრიქონებს შორის (გადააგდებს... რაა) B-ში ემატება გლეხო! **9** მეტი] უფრო* B. **10** სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა] სიღ-არიბე რომ აგიკიდია* B. **11** მისით... კარებთან] სიკვდილის კარზე მიმდგარი* B. **13** მაინც კვნესდე] ჩურჩულებდე* B.

### ***გამოსულა ტიტველი... (გვ. 157)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1901 (B); 4739 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 10 (D); „ეპოქა“, 1930, გვ. 213 (A).

B-ში ბოლოში ემატება:

მისი გული მით გულობს,
სიმწრისაა მზიდველი,
ბათმან რკინას კითხულობს
ერთი ნემსის მყიდველი.

C-ს დასაწყისში მიწერილი აქვს: ბაზარზე როცა უფულოდ წახ-ვალ, ეს იგივეა – სამარეში რომ უზიარებლად ჩახვიდე.

### შენ, ფოლადივით ცივი თვალებით (გვ. 158)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1113 (B); 1114 (C); 7223 (D); 134-ა, გვ. 3731 (E); 1413 (F).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1928, №11-12, გვ. 10 (G); „ეპოქა“, 1930, გვ. 213 (H); თხზულებანი, II, 1935, გვ. 376 (A).

**სათაური:** ლიტერატურული კატორღა BC; ადამიანი და გორილა – ერთად D; – GH.

C და D ავტოგრაფებში წარმოდგენილია ლექსის მხოლოდ პირველი სტროფი, E-ში – პირველი 13 სტრიქონი, ხოლო F-ში – 30-36 (ახალი ... მონათესავე) სტრიქონები.

**2** შენ] მე BCDE; ცივი] ნათელ D. **2** უცქერ... ემდური] ვწერ და თვალთაგან მდივა ცრემლები* D. **3** უცქერ] ვუცქერ BC] გიცქერ DE; განვლილ გზას] ვარსკვლავო DE; და არ] მაინც* B] მიყვარს C. **4** გინდა] მინდა E; დიდი პოეტი ~ E] პოეტი-მეფე D. **5** ხარ] ვარ E. ამ სტრიქონის შემდეგ C-ში გადაშლილია: „აჰ, უბედური! მერე როგორი“, ხოლო E-ში მიწერილია: „საზოგადოება იძლევა პასუხს“; D-ში გადახაზულია შემდეგი სიტყვები: „მე ვარ მომავლის და დინამიტის შენს ქვეშ ჩაწყობა“, ხოლო ამის შემდეგ D-შივე ემატება:

ჩემო ვარსკვლავო! ნუთუ ვერა გრძნობთ
იმ დაცინვას და შეურაცხყოფას,
რომელიც სხვა დროს შეგასწავლიდა
და დინამიტის მედგრად ჩაწყობას,
თავს რომ ბოლიდის, აეროლიტის
ან მთვარის ნატეხს გადაექროლა...

**6** აქვეყნებ ლექსს] დასწერ ლექსებს* B. **9** წუთის უმალ] წამის შემდეგ* B] ყოველი მხრით B. **9** სტრიქონის შემდეგ (... გაქურდული) B-ში ემატება:

უმჯობესია გახდე ყაჩაღი,
დინამიტისას სწევდე ჩაწყობას,
ვინემ იტანდე პოეტის[1] ასე
დამამცირებელ შეურაცხყოფას.
ისინი ჰყვირიან:
ისინი მკითხავენ:[2]
„როდის დამთავრდება

---

[1] ამ სიტყვების შემდეგ გადაშლილია: „ასეთ ყოველმხრივ პოეტისათვის“.
[2] ამ სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: „მაშინ როდესაც“.

თქვენი ეპოქა“.[1]
(ნუ იყურებით ასე,
თორემ
დამბლა დაეცემათ).
თქვენ მეკითხებით:
როდის დამთავრდება
თქვენი ეპოქა?

GH ვარიანტებში კი ემატება აქ მოყვანილი ტექსტის მხოლოდ პირველი ოთხი სტრიქონი (უმჯობესია... შეურაცხყოფას). 15 სახელად... ომი] – A. **17** სტრიქონის (... მდომი) შემდეგ GH-ში ტექსტს ემატება:

მხატვარი ნაწილთ სივრცეში ტრიალს
კვლავ ამჯობინებს ერთად მოკრებას,
გამოუდგება გრგვინვას და გრიალს
და ურაგანულ აბობოქრებას.
გაილესება იგივე ზვავი,
ზვირთთა მოწოლით გრიგალივით მწირ
გზაზე დადგება... ორი მრისხანე,
ორი პირისპირ.
შეაცივდება თვალები თვალებს,
თვალები თვალში კვლავ დაეფლობა,
ერთი-მეორეს კვლავ გააწვალებს
თვალთ დაშორების შეუძლებლობა.

**31** ახალი ხანა] ფილისტერები F; შეატოკა + მკითხავენ FG. **32** ეს] თქვენი FG. **33** ეპოქა + ვუპასუხებ FG. **36** გული] შვილი F. ამის შემდეგ F-ში გადახაზულია:

არ არის ადამი
და მისი მიგნება
მაშასადამე
და რადგან ასეა,
შემდეგი იქნება.

[1] ამ სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: „მაშინ როდესაც“.

# პაციფიზმი

ლექსების ეს ციკლი თავდაპირველად პოემის სახით დაიბეჭდა. პოემას, საჟურნალო ვარიანტში და წიგნშიც, უძღოდა ორი ეპიგრაფი, რომლებიც ქვემოთ მოგვაქვს:

„მუშათა კლასის ყინვაზე გაცურების ერთი ფორმათაგანი არის პაციფიზმი და მშვიდობიანობის აბსტრაქტიული ქადაგება. კაპიტალიზმთან, განსაკუთრებით მის იმპერიალისტურ სტადიაში, ომები აუცილებელია. ეხლანდელ დროში მშვიდობიანობის ქადაგებას, თუ მას თან არ ახლავს მოწოდება მასსების რევოლუციონური მოქმედებისაკენ, შეუძლია მხოლოდ ილუზიების თესვა; გახრწნა პროლეტარიატისა, ბურჟუაზიისადმი ნდობის შთაგონება და მეომარ მხარეთა საიდუმლო დიპლომატიის ხელში სათამაშოდ გადაქცევა".

ლენინი

„პირველი მსოფლიო ომიდან 14 წლის გასვლის შემდეგ, იმ ომიდან, რომელმაც დაბადა პირველი სოციალისტური რევოლუცია, კომინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს და გლეხებს – მოემზადონ, რათა მომავალი ახალი მსოფლიო ომი გადაიქცეს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციად".

კომინტერნის მე-VI კონგრესის მოწოდებიდან.

ციკლის ფორმა ტექსტმა 30-იან წლებში მიიღო (1935).

### 19 – ? (გვ. 159)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 483 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი", 1930, №1, გვ. 7 (C); „პაციფიზმი", 1930, გვ. 5 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 383 (A).
**სათაური:** – BCD.

**2** ეფინება] შემოება B. **2-3** მიწას... და] არა! არა მართალი არის ჩვენი* B. **5-6** სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: დედამიწას ჰფენია. **6** წამოვიდენ] შავი, ბნელი* B. **7** მრისხანე] მრისხველი B. **8** დანებად] დანებათ B. **14-15** რათა... ათიბოს] მოაქვს სატანიური მახრჩობელა გაზები* B] მწარე ცელის მოქნევა* B. 16 ასისხლებული]

სისხლის ფერებით B. **18** მოსპოს] რათა* B] აჰკრას B. **19** რაც ქურა] რაც კი ქურა B. **20** რაც ... წლობით] რაც მრავალი წამებით* B.

## გაიცანით – პაციფისტია (გვ. 159)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1957 (B); 393 (C); 1954 (D).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“ 1930, №1, გვ. 7-8 (E); „პაციფიზმი“, 1930, გვ.5 (F); თხზულებანი, II, 1935, გვ. 384 (A).

**სათაური:** შიუკა B; როგორ გვპირდებოდენ გამარჯვებულნი მსოფლიო ომში* C; გამარჯვებულო მსოფლიო* C. ჭკვიანი მიცვალებული, რომელიც ფეხს არ იცვლის ადგილიდან D; – DE.

**2-33** იყო... პაციფისტია] – C. **2-59** იყო... ვილსონი] – D. **3** ჩუმი, ფარული] გიორგობისთვის* B. **5** მდუმარე] ფარული* B] პატარა* B] იტრიის B. 6 სხედან] სადაც* B; ბაქარას] ბაქქარას B. **6** სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია: ფულის გრძნობისთვის, არც სიხარული. **10** ჩუმი] მუნჯი* B. **14** ნაბადდაკარგულ] ნაბდით შემოსილ* B] ფრაკში ჩაცმული* B] ნაბდით გადაკრულ B. **16** ეს კარებიც] დაკიდული* B. **17** ნელა] მხოლოდ* B] ჩუმად* B. 17 სტრიქონის (... სრიალებს) შემდეგ B-ში გადახაზულია:

> შემოდის გმირი ამ პოემის,
> თვით ქუჩა, სადაც არის კლუბი.

**18** ფანჯარა] ფანჯრები B; და დარაბაც] დარაბებიც* B. **19** წყნარი] ჩუმი B. **20** ფეხის... ახშობს] იატაკს ფენობს* B. **24** და დემონივით] მოულოდნელად*CB; ლექსების] პოემის* B. **27** მრავალი მხარე] მან თავდადებით* B. **29** და ვერ] ვინც კი* B. **33-103** პაციფისტია... ნურავინ] – B. **35** ძირს დაჰქანდა] ომს დანებდა* C. **36** დადგა] ადგა* C. **37** და აქაქანდა] და ქაქანებდა* C. **42** ასე ვართ] ღამეა* C. **43** გამოგვყავს] ავიღეთ* C. **47-49** თავის... ასე] ასე ფარავდა ბურჟუა ზრახვებს მტაცებლურს C; „ბურჟუა“-ს ნაცვლად იყო „იგი თვის“, „მტაცებლურს“ ნაცვლად – „იმპერიალისტურს“. **50** თანაც... უნდობარ] ვინ არ იგრძნობდა სისხლიან* C. **51** სიხლიან ქვაზე] ამ ბოროტ ქვაზე* C. **51** სტრიქონის შემდეგ C-ში ემატება:

> სურდა ჰყოლოდა მას შეცდომაში
> მასსა მშრომელი,
> სურდა რომ მისთვის დაეკრათ ტაში

დაუცხრომელი.
ის მასა, რომელსაც ერთს გადაჰქონდა
ომის სიმწარე, სიმძიმე[1]

**53** ნათელი] იმ მასის* C. 56-103 (დავაარსოთო... ნურავინ] – C. D ავტოგრაფში დასაწყისში ემატება:

ლუვრის ახლოს[2] ძველისძველი არის მშვიდი[3] დუქანი,
ღვინოსა და ტარანს ჰყიდის მიკიტანი მსუქანი,
აღელდება ღამით ბირჟა[4] და წრიალებს არღანი,[5]
ისმის ყეფა და კივილი და უსივრცო ხარხარი.

**62** კლუბში] დახლთან D. **63** ხალხის] და სულ* D. **67** როგორ] მიწას* D. **68** ვიცვლი] მოვიცვლი* D; ჟენევიდან] ქვეყნიდან* D. **71** ასეთ დროის] ასეთ დროის* D] კომინტერნის D. **74** სანამდე... შემრჩენია] სანამდე დამიბრუნდება* D. **77** გულმოშხამული] გადაშხამული* D. **78** ჩემად მიმაჩნია] არ დამიბრუნდება* D] კიდევ დაბალია D. **81** ბიძია] არასგზით* D. **82** რაკი ერთხელ] სანამ ჩემი* D. **83** შენ] არ* D. **83** კი არსებობს] არ აღსდგება* D. **87** ჩემი ქვეყნის] არის მხოლოდ* D. **93** წყევლამ] ცოდვამ* D. **95** ცოდვის] ვინაც* D. **99** დაუდგრომელი] დაუდგრომელი* D. **103** სტრიქონის (...ნურავინ) შემდეგ DEF-ში ემატება:

– მაშ ეს ღმერთმა გაუმარჯოს
თვითონ ღმერთის ტარებას,
გაუმარჯოს მისი ჭკუის
და გონების მარიფათს,
ღმერთს, რომელმაც კომუნისტებს[6]
მისცა რა მოსავალი[7],
პური ცოტა მიუტეხა[8]
კბილები კი მრავალი![9]

---

1 ბოლო ორი სტრიქონი ავტოგრაფში გადახაზულია.
2 იყო: „ვერის ხიდთან“, „ერთ სოფელში“.
3 იყო: „ერთი“.
4 იყო: „კინტო“.
5 ეს სიტყვა გადახაზულია, სანაცვლო სიტყვა არაა მიწერილი.
6 D-ში იყო: „კომუნისტის“.
7 D-ში იყო: „ზრახვა გაიზიარა“.
8 D-ში იყო: „მიუცია“.
9 D-ში იყო: „სულ არა“.

**პაციფისტი** – პაციფიზმის მომხრე, ომების მოწინააღმდეგე.

**ბაქარა** – ბანქოს თამაშის სახეობა.

**ერთა ლიგა** – იხ. კომენტარი ლექსისა „***იყო ადვილი წარმოსადგენი“ (გვ. 418).

**ვუდრო ვილსონი** (1856-1924) – ამერიკის პრეზიდენტი 1913-1921 წწ.

## ***ათას რვაას სამოცდაათ ზოლიდან (გვ. 162)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1936 (B); 1937 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“ 1930, №1, გვ. 9-10 (D); „პაციფიზმი“ 1930, გვ. 9-10 (A).

ხელნაწერები არ არის სრული. B-ში ტექსტი წარმოდგენილია მე-60 სტრიქონამდე (ვინა სვა?); D-ში კი 54-100 სტრიქონებია (კარგს... აფხაზეთია).

**4** აქ ჩამოდგა] ჩამოვიდა B. **7** მან] ის B. **12** თანხებით] თანხები B. **17** გული] გემო B. **21** ბუნებრივი] ბუნებრივად B. **41** რაც] და B. **45** ძიმწარის] სიმწარის B. **51** სხივიდან] შუქისგან C. **57** ხომ... მარანის] რომ მოოქრული სავანის C. **81** შემდეგ... გზავნიდა] და გზავნიდა მაღაზიის პატრონთან C. **96** სტრიქონის (ეგვიპტის და კაირის) შემდეგ C-ში გადახაზულია: ირეოდა სურნელება და ფერი. **97** ღირსებებზე] ღირსებაზე C. **98** კიდევ] ასეთ C.

B ხელნაწერის ბოლოს, გვერდზე მიწერილი და შემდეგ გადახაზულია ექვსი სტრიქონი:

თავს შეაკლავს და არავის დაუთმობს
იგი თავის აბოლებულ სიგარას.
თათარს გული სხვამ რამ უნდა გაუთბოს,
თვის სიგარას – ეხლა საქმე ისეა,
თავს შეაკლავს და არავის დაუთმობს,
ამიტომაც იგი პაციფისტია.

## პარიზელები უჩივიან მოწყენილობას (გვ. 165)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1938 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1 გვ. 10 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 10 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 388 (A).

**სათაური:** – BCD.

**2** გზად] დღეს B; მიესალმნენ] მიესალმენ B. ამ სტრიქონის ნაცვლად ადრე B-ში ყოფილა: დღეს სოფლიდან ჩამოვიდენ. **3** პარიზელი] ქალაქელი* B. **6** ჩივის მოწყენილობაზე] აჰ, თქვენ კიდეც მოგწყენიათ* B. **7** მთელი] აქ ვარ* B; მათი] თქვენი* B. **8** გლეხი... გვესმის] ჩვენ არ გვესმის, ჩვენ არ ვიცით B. **13** ჩაწყობა] დაწყობა B. **15** ხედავთ] ჰხედავთ B. **20** სიმშვიდის] სიმშვიდე B. **22** თქვენთვის, ქალაქელებისთვის] და თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ* B. **24** რომ ყოველი] თვითეული* B; გოჯა მიწის ~ B. **28** სადაც] რომ* B. **30** თქვენგნით... ძველი] ისლისა და ყავრის* B. **31** უცნაური] უდეგარი* B. **32** გამოგგლიჯოს] გამოგლიჯოსთ B. **37** ერთხელ] მხოლოდ* B. **51** ჩაალპოს] ჩაღუპოს B. **53** სინესტემ] ბატონმა B; დაალბოს] გაალბოს B. **54** ჩვენ ვიცით] გარწმუნებთ* B. **66** აქ ადგილი] ერთი მითხარ* B. **67** ერთი... მართალი] აქ სადაა ადგილი* B. **68** სად არის] სადაა B. **73** რომ] სად* B. **74** ის მოწყენა] ჩვენ არ ვიცით* B. **75** თქვენ... რომ] ის რა წიგნში* B. **78** უსაქმურებს] პარაზიტებს* B. **79** ჩრდილებად] ჩრდილებით B. **81** სასოწარკვეთილებად] სასოწარკვეთილებათ B. ტექსტის ბოლოს B-ს მიწერილი აქვს:

გაიღიმა გლეხმა მწარედ
და ბატონებს მიმართა:
რატომა ხართ ასე მკაცრი,
ვერვინ ვერ განმიმარტა.

## კაცი სათვალეებით (გვ. 168)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6386 (B, C ).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 11 (D); „პაციფიზმი“, 1930, გვ.11 (E); თხზულებანი, II, 1935, გვ. 391 (A);.
**სათაური:** იმერი ტფილისში B; იმერელი ტფილისში C; – DE.

B ხელნაწერის ბოლოში მოთავსებულია ამ ლექსის ათსტრიქონიანი ვარიანტი, რომელიც ჩვენ C-ით აღვნიშნეთ.

**2** სათვალეებში... თვალები] ცოცხალი სიბრძნით სავსე თვალები* B] ცოცხალი სიბრძნით მეტყველ თვალებით C. **3** იმედით] ოცნებით* B; ძლევამოსილთა... სრული] თვალები [...] როგორც ყინული C. **5** პაციფისტურად] და სიყვარულზეთ* B] სიყვარულით* C] და მღელ-

ვარებით C. **6** უღელავს გული] შემორკინული C. **7** იგი ქადაგებს] მხნე იმერლები C. **8** კანონს] ეძებს C. **9** კომპრომისს და] და არა სხვის* BC. ამ სტრიქონის შემდეგ C-ში ემატება: სხვები არქმევენ მათ ურჯულოებს. ნაცვლად სიტყვისა „არქმევენ“ ადრე C-ში ყოფილა „უხმობენ“. **11** სულ გადაუდგენ] სული არა სდევთ* B; სამართალს და რჯულს] ურჯულოებას* B] კანონსა და რჯულს B. მე-12 სტრიქონის (ვერ...) წინ B-ში გადახაზულია: „რატომ“; ამავე სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: „მას ეზიზღება კაცი, კაცი არ აძლევს საშველს“. **14** რკალი] ქსელი, ბადე* B. მე-16 სტრიქონის (...ზრდილით) შემდეგ B-ში გადახაზულია: მან უპასუხა მას თვითნებობით. **18** რათ... დილით] და მიაშურა გზას ოცნებების B. **22-23** უფლება... ნაღარა] ის ბედავს ჩემს წინ იყოს ამაყი და გულში მწარედ გადიხარხარა* B. **24** ახლა] ეხლა B. **29** რა... წვიმა] საიდან მოდის ჟუჟუნა წვიმა* B. **32** პაციფისტს... ახსოვდეს] საიდან? აგერ კვლავ უზრდელობა, ყველაზე მეტად ის ძაგს იმერელს* B. **34** პროლეტარობას] და უზრდელობას B. **36** მისთვის ცხადია] რა წვალებაა* B. **37** სიფუსფუსეში] ასეთ ფუსფუსში B. **38** დარდზე] დარზე B. **42** სიმართლის] მას ტლანქი* B. **43** კლასიურ] შხამიან* B. **46** სიმართლე] სიტლანქე* B. **49** სტრიქონის (და როცა) წინ B-ში გადახაზულია ხრიკიც საქმეა. **50** აიღო] დააგდო* B. **52** არც... იგი] არ ეშინია მას ძალადობის* B. **53** და... ბადეა] იქ ძალადობაც მოკლული ნდობა* B. **55** ერთა ლიგის] იმერელის* B. **58** ნაქარგავს] ნაქარგი B. **61** ჯერ საბოლოოდ] მაგრამ მას დღემდე B. **63** ბოროტი გრძნობა] ვაჟკაცის სული* B. B-ში ტექსტს ემატება შემდეგი სტრიქონები:

დაუნდობელი მტერი სიმშვიდის.
განდგომილობის და მარტოობის,
ის მთელის სულით ქუჩაში მიდის
მოსწრებულ სიტყვით და...

**ერთა ლიგა** – იხ. კომენტარი ლექსისა „***იყო ადვილი წარმოსადგენი“ (გვ. 418).

### ***ლონდონი სდუმს: არ აქვს გრძნობა (გვ. 169)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1908 (B); 2387 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 12 (A); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 12 (D).

**სათაური:** საუბარი კლუბში C.

**1** ლონდონი] პარიზი* C; ლონდონი... აქვს] ავადა ვარ, ღელავს* C. **5** იგი... მოსკოვიდან] უდაბნოში არის ღამე* C; „უდაბნოში“ გადახაზულია და მიწერილია: „ინდოეთში“; შემდეგ სტრიქონი მთლიანად გადახაზულია და წერია: „იგი ფიქრობს, მოსკოვიდან“.

## ამერიკისა იმგვარ სცემს გული (გვ. 170)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1908 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 12 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ.12 (D); თხზულებანი, V, 1952, გვ.72 (A).
**სათაური:** – CD.
**თარიღი:** 1930 A. 1 იანვარი B.

**4** რომ არ ივიწყებს] რომ არ დაიწყებს BCD.

## მოხუცი ქალი (გვ. 170)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5651 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 12 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ.12 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ.395 (A); რჩეული, 1954, გვ.95 (E).
**სათაური:** ქალი შავ ტანთსაცმელში* B; ის ქალი ისევ შემომხვდა გუშინ B; – CD.
**თარიღი:** 1935 E.

**2** ყოველ საღამოს] ყოველდღე მხვდება* B. **4** ალბათ... ნაპირებს] მხვდება მთაწმინდის ხრიოკებს* B. **8** B-ში „პატარას“ შემდეგ გადახაზულია: ქალი. **9** და მთლად] იგი* B. **10** სად არ ატარა] როგორ ატარა B. **11** სიდან მოსული] წინად მაღალი და მილოსელი B. **12** ახლა] ეხლა B. **18** პირჯვარს... კართან] ის პირჯვარს იწერს მთაწმინდის კართან* B. **19** არც] ან* B. **23** სტრიქონის (...ბინდებით) შემდეგ B-ში გადახაზულია: სჩანს, თან დაყვებოდა, უჩინრად. სჩანდა. **24** აზრი] ფიქრი* B. **25** მწარე] მძიმე B. **28** ცივი... ძნელი] მის ფიქრებშია [...] B. **30** გულს] ღრღნის* B. **31** ღრღნის] გულს* B. **36** ვერავისაც] ვერავისი B. **37** განცდებს ასკეცებს] დაფარულ ძაძებს

B. **38** გადაიყვანს] გადიყვანდა B. **42-43** სტრიქონებს (მისი... ომში) შორის B-ში გადახაზულია: წელში მოხარა.

## ოპერიდან გამოვიდა გვიან (გვ. 172)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1933 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 13 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ.13 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 396 (A); რჩეული, 1959, გვ. 552 (E).

**სათაური:** – BCD.

**2** ოპერიდან... გვიან] გუშინ გვიან ოპერაში ვიყავი* B] გუშინ იყო ოპერაში გვიან B. **3** ყველა ნახა] მსურდა ნახვა* B, ავტორს ეს სიტყვები გადაუხაზავს და სანაცვლოდ არაფერი დაუწერია; ნახა] ვნახე B. **4** კლუბის წევრი] თანამედროვე პოეტი* B; ავტორს ეს სიტყვები გადაუხაზავს და სანაცვლოდ არაფერი დაუწერია; ახლა] ეხლა B; ჰქვიან] მქვიან B. **5** ნაცნობების] მეგობრების* B. **6** ყველგან... იყო] ხელოვნების სასახლეშიც ვიყავ B. **7** მთავარ ქუჩით] სახელგამშიც B; გაიარა ნელა] მივაცურე ნავი* B] გავიარე ნელა B. **8** ზედ... თიხა] გამეცალე უგულო თიხავ* B. **9** ამომწყდარა... ყველა] გულო ჩემო, არავინ გყავს, რომ გავწირო თავი* B; გაიფიქრა] გავიფიქრე B. **10** გამობრუნდა] გამოვბრუნდი B; კვლავ იმავე] რუსთაველის* B] ის იმავე B. **11** თეატრიდან... ტალღით] გავიარე კომუნართა ბაღი* B. **12** დარწმუნდა] დავბრუნდი B. **13** რომ... ხალხი] ამომწყდარა რუსთაველზე ხალხი* B] და მაქ მართლა ამომწყდარა ხალხი B. **14** ქალის] შენი* B; გაახსენდა] გამახსენდა B. **16** კურტიზანი ნინა] მშვენიერი ნინა B. **17** მაშ, სიცოცხლეც] და სიცოცხლე B; პარიზს] ტფილისს* B. ტექსტის ბოლოს B-ში ემატება:

ცოცხალია, ცოცხალია ნორა,
ცოცხალია ზინა, თამარ, ვერა,
ანთებულა იმედების ფორა!
აჰა, აგერ მისი სახლიც...
აჰა, სახლი, სადაც მელის გული,
ოცნებისას...

**კურტიზანი** – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, დაკავშირებული მაღალ საზოგადოებასთან.

## ᲫᲘᲐ, ᲕᲘᲡ ᲔᲫᲔᲑᲗ? (გვ. 172)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1931 (B); 1932 (C).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 13 (D); „პაციფიზმი“, 1930, გვ.13 (E); თხზულებანი, II, 1935, გვ.397 (A).
**სათაური:** – BDE; შემოდგომა C.

**2-9** კვლავ... ნეტავი] – C. B-ში ავტოგრაფს დასაწყისში ემატება:

რა საშინელი რამაა
შენთვის ტფილისის ტორტმანი,
ნატვრა ერთ ვერცხლის ქამარი,
ძირგაგდებული პორტმანი.

პირველ სტრიქონში „რამაა“-ს ნაცვლად იყო „არის“; მეორე სტრიქონში „ტორტმანი“-ს ნაცვლად იყო „ქანება“, ხოლო მე-4 სტრიქონი გადახაზულია.
**2** კვლავ... უცქერენ] იცქირებიან B. **3** ქუჩის] მთების* B. **4** თითქმის] ვერის* B] ლუვრის B; ლუვრამდე] ბაღამდე B. მე-5 სტრიქონის (... საკანდიტრონი) შემდეგ B-ში ემატება:

პურმარილი და შიმშილი
ჰფეთქს, როგორც ძველი დუქანი,
სად გოდერძ გოდერიშვილი
დაყუდებულა მსუქანი.
გეგონა ყველა მკვლელია
დამდგარი დადარაჯებით,
და ვერ ახერხებს...

ბოლო სამი სტრიქონი გადახაზულია. **6** დადგება... იცქირება] და ყოველ ქუჩის სიტყვები B. **7** და ესმის] შენ გესმის B. **8** შეეკითხება] შეგეკითხება B. **10-33** მან... სპლინი] – B. **10** მან... ეძებს] სახლში სიბნელეა C. **12** ქუჩას პაციფიზმი] ზეცას პაციფიზმი* C. **17** ყვარებია] ჰყვარებია C. **24** მეეზოვეთა] მეეზოვისა C. **27** გათენებიდან] ნათენებიდან A. **30** მოჰკლა... ტვინი] მომკლა, წაიღო სული C. **31** მისი] ჩემი C. **33** საშინელი] უკურნებელი C.

**სპლინი** (ინგლ.) – მოწყენილობა, სევდა.

## მიეც ქარიშხალს თავშესაფარი (გვ. 173)

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 13 (B); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 13 (C); თხზულებანი, II, 1935, გვ. 399 (A).
**სათაური:** – BC.

## ჟენევის პირად მდგარო ტირიფო (გვ. 174)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 4659 (B); 8754 (C).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 14 (D); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 15 (E); თხზულებანი, II, 1935, გვ. 400 (A).
**სათაური:** ორიღა ძაფი B; – CDE.

**2** ჟენევის] მდინარის* B. **5** ძლივასღა] ძლივძლივას B. **6** ძლივსღა] ძლივღა B. მე-14 სტრიქონის (ახლა...) წინ B-ში გადახაზულია: მდინარეს გაჰყვა. **14** ახლა] ეხლა B; ახლა... გაუძლებ] ტირიფმა ვეღარ გაუძლო ზეფირს* B.

C ხელნაწერის ტექსტი ძალიან განსხვავდება ძირითადი ტექსტისგან, ამიტომ ის ქვემოთ მთლიანად მოგვაქვს:

მდინარის პირზე მდგარი ტირიფი,
გარს რომ ევლება ტალღათა ქაფი,
ორიღა ფესვი ძლივას იჭერდა,
ძლივას იჭერდა ეს ორი ძაფი.
როს ნიაღვარი დაიქუხებდა,
ხესაც მოგლეჯსო – გეგონებოდა,
მაგრამ გრიგალი გადაივლიდა,
ტირიფი ისევ ისე რჩებოდა.
აშფოთდებოდა ხოლმე მთა-ბარი,
აგუგუნებულ დემონთ საყვირზე,
მაგრამ ტირიფი ხელშეუხებლად
იდგა და იდგა მდინარის პირზე.
და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას
ზეფირმა ტირიფს გამოუქროლა,
გიჟური ვნებით დასძრა, აკოცა,
მოსახვევეელად დაიწყო თრთოლა.
ტირიფმა ვეღარ გაუძლო კოცნას,
მხურვალე ალერსს ვეღარ გაუძლო,

მოსწყდა ფესვები, ზვირთს გაჰყვა, როგორც
სიზმარი მცდარი და უსაფუძვლო.
მე მომაგონდა მსგავსი შემთხვევა,
რამაც დამიხშო ცისა კამარა,
ცხოვრების ღრენამ ვერრა დამაკლო,
ერთმა კოცნამ კი დამასამარა!

ტექსტი ნასწორებია: **1** მდგარი] ვნახე*. **2** რომ ევლება] ევლებოდა.

## ***ქუხილო, გელით! (გვ. 174)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4659 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 14 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 14 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 401 (A).
**სათაური:** მზეს ამოასწრო B.

**7** მკვდარი მზე] და იმ მზეს B.

## ***აუჩქარებლად, დინჯად... (გვ. 175)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4788 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 14 (A); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 14 (C).
**სათაური:** B-ში ლექსი სამ ნაწილადაა გაყოფილი და თითოეული ნაწილი დასათაურებულია: 1-4 სტრიქონებს (აუჩქარებლად... მშვიდობით) ეწოდება „ჭადარი“; 5-8 სტრიქონებს (მშვიდობით... მშვიდობით) – „მშვიდობით, ზაფხულო“; 9-11 სტრიქონებს (ქარმა... მშვიდობით) – „ტალახია“; 12-17 სტრიქონებს (ცაზე... წეროებო) – „წეროები“.

ავტოგრაფში ჯერ წარმოდგენილია 5-8 სტრიქონები (მშვიდობით... მშვიდობით); ხოლო შემდეგ 1-4 (აუჩქარებლად... მშვიდობით).
**4** იტალია] ზაფხულო* B. **5** ინგლისო] ზაფხულო* B. **8** პარიჟო] ზაფხულო* B. **11** ამერიკა] ზაფხულო* B. **17** შემოდგომის] საყვარელო* B.

## ***ᲐᲰ, ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ... (გვ. 175)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4788 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 14 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 14 (A).

**სათაური:** რკალები წყალზე B.

**3** კაფეში] არღნები* B. **5** ვიღაც გადავარდა] – B.

## ***ᲠᲝᲪᲐ ᲐᲜᲢᲐᲜᲢᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲡ... (გვ. 176)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B);

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 14-15 (C) „პაციფიზმი“, 1930, გვ. 14-15 (A).

**სათაური:** არაჩვეულებრივი მადა* B.

**1** ანტანტა] დევები B; შეუდგა] შეუდგენ B. **5** გასცქერდა] გაცქერ-და B. **7** ძალავდა] იტაცებს B. **13** ცქერაა] თვალია B. **16** ანტანტამ] დევებმა B. **18** ჭურჭლებით] ქვაბებით B. **20-21** სტუმარმა... შეხრუპა] უცებ შეხრუპა თავისი B; თავის] თვისი B. **22** ანტანტის] დევების B. **23** მიჰყო] მიყო B. **24** გაოცებული] გაოცებულნი B. **25** იდგა ანტანტა] სდგანან დევები B. **27** ვინ] სით B; ვინ მოერეკა] ვინაა ზრდილი B. 30 სტუმარმა მან] ეს იყო სანდრო B.

**ანტანტა** – ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო კა-ვშირი („სამთა შეთანხმება“) გერმანიის, იტალიისა და ავსტრია-უნ-გრეთის ბლოკის („სამთა კავშირის“) წინააღმდეგ, რომელიც 1904-1907 წლებში შეიქმნა.

## ***ᲞᲐᲪᲘᲤᲘᲖᲛᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ... (გვ. 177)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 15 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ.15 (A).

**სათაური:** საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა B.

**1** პაციფიზმს... პრესა] მყავს მყვირალა მეგობრები* B. **7** მისთვის] მათთვის B. **11** სიმართლემდე] სიმაღლემდე B; ამ სტრიქონის შემდეგ B-ში + არა, დროა ვუთხრათ მათ სულთათანა. **12** არა! სხვაგვარ] რომ სხვაგვარად B.

### ევროპავ, გახსოვს? (გვ. 177)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 15 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 15 (D); თხზულებანი, V, 1952, გვ. 75 (A).
**სათაური:** დედამიწის გულში მცხოვრები ორი, თეთრი და შავი* B; – CD.

**2-3** ევროპავ... გარიგებდენ] რომ გარიგებდენ, ევროპა, გახსოვს B; ევროპა] იოველ* B. **17** მწარედ] მწარეთ B.

### ***ევროპა, როგორ არ იცი... (გვ. 178)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 15 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ.15 (A).
**სათაური:** ზაფხული ხალებს დააგებს* B.

**1** ევროპა... იცი] ხომ იცი, ჩემო ოტია* B.

### ***გულს ნუ მოიყვან... (გვ. 178)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 15 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 15 (A).
**სათაური:** გულს ნუ მოიყვან* B.

**1** ჩან-კაი-ში] მეგობარო* B. 7 კეთილო] ძმობილო B.

**ჩან-კაი-ში** (1887-1975) – 1927 წლიდან ჩინეთში მეთაური გომინდანური მთავრობისა, რომელიც 1949 წელს დაამხო სახალხო რევოლუციამ.

## ***მათ ბევრი ჰყავთ ხელოვანნი... (გვ. 179)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3551 (B); 7695 (C); 8768 (D).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 15 (E); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 15 (A).
**სათაური:** ჩვენ ცოტა გვინდა* C; ბევრს ახარებს D.

**1-2** მათ... როდენი] – CD. 5 ამბობს] მე კი BCD; გრძნობა] ბედი C] ღვინო D. 7 ცოტა... ოდენი] – C.

**ოგიუსტ როდენი** (1840-1917) – გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკე.

## ***ენაზე აკრავს ხალხი, ნაცია... (გვ. 179)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3551 (B); 980 (C); 8710 (D).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 15 (E); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 15 (A).
**სათაური:** საიქიოს კომპენსაცია* B; მე მეგობრები მყავს არეული D.

C და D ვარიანტებს დასაწყისში და ბოლოში ემატება თითო სტროფი, რომლებიც ავტორს გამოყენებული აქვს ლექსში: „პოეტის შეხვედრა მოჩვენებასთან რევოლიუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს, 1927 წელს“ (იხ. ჩვენი გამოც., ტ. III, გვ. 102).
CD-ს დასაწყისში იკითხება:

> მე მეგობრები მყავს არეული,
> მუქი, მზიური და მთვარეული,
> მათ დეპეშებით მიიღეს ომი
> და ოქტომბერი მზამზარეული* C.

D ვარიანტი იძლევა შემდეგ სხვაობებს: 1 მეგობრები] ნაცნობები. 2 მუქი... მთვარეული] ზოგი ვეფხვია და ზოგი ლომი.

CD-ს ბოლოში ემატება:

ო, როგორ მიდის სწორუპოვარი,
თითქო მისია ბედი მთოვარი,
მასვე ეკუთვნის რევოლუციის
ყველანაირი მონაპოვარი* C.

D ვარიანტი იძლევა სხვაობებს: 1-2 სტრიქონები ~ D. 1 ო, მიდის] ბედი მათია. 3 მასვე] მათვე. 3 რევოლუციის] ყოველნაირი. 4 ყოველნაირი] რევოლუციის.

**1** ენაზე... ნაცია] ჩემზე მე მესმის მათი სისინი* C. **3** სხვა... ლიგაა] ღამით განიგან დააქვს თვალები* BD] სწორედ კამერა მოდის იმათგან* C] ღამით თვალები დააქვს განდაგან C. **5** ხან] ზოგს* BDC; ხან... შეხედო] როცა საუბრობს* C. **6** მოსკოვი] ლენინი* BD; მოსკოვი მასთან მონაგონია] მასთან ლენინი* C] ზოგთან ლენინი* C] ეს უნდა იყოს ნიჭი, გენია C. **7** ო] ეს* BDC. **8** ო] ის* B] ან D; ო, უსათუოდ] ან ის თუ არა C. **9** ვართ] ვარ* BD; მადლობა... მათი] ო, მათ მაგიერ თვითონ მცხვენია* C] სადაც არ მივალ არის ამათი* C. **10-11** სტრიქონებს შორის C-ში გადახაზულია: „ჩემთვის“. **11** ჩვენ] მე* B; ჩვენ... მომავლისაკენ] მე არ მიზიდავს მოგონებისკენ* DC] მე მიმიზიდავს მოგონებისკენ* C. **12** მიზანი] ოცნება C.

**ერთა ლიგა** – იხ. კომენტარი ლექსისა „***იყო ადვილი წარმოსადგენი“ (გვ. 418).
**დემოსთენე** – ძველი ბერძენი ორატორი ჩვ. წ-მდე IV ს-ში.
**ციცერონი** – რომაელი ორატორი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ჩვ. წ-მდე I საუკუნეში.

## ბოჰემა (გვ. 179)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3551 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 16 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 16 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 402 (A).
**სათაური:** ოტია ღვინოში იღუპავს თავს* B; – CD.

**1** იქ მათი] აქ ჩვენი* B. **4, 5, 10, 12** პარიჟი] ოტია* B. **4** აბსენტში] ღვინოში* B.

**აბსენტი** – აბზინდის არაყი.

## ***ეხლაც ბევრი სწერს ფერდზე (გვ. 180)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3551 (B); 8707 (C); 28897-50, გვ. 8 (D).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 16 (E); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 16 (A).
**სათაური:** აყვავებული ტყემლები* B. ტყემალი – ყვავიან C.

**1** ეხლაც... სწერს] ვხედავ სიხარულს* BC] ვხედავსამარეს* C] ბევრი იგონებს D. **2** გადაყვავებულ] იქ აყვავებულ BC.**3** უუნებობის] თავისუფლების* BC. **5** ძევდეს] დევდეს* CD. **7** და... სევდის] და კომედია ტყემლის C; ცისარტყელა] ცისარტყელაც D. **8** იმ] ხომ* C] ამ CE.

C ვარიანტს ბოლოში ემატება ერთი სტროფი, რომელიც გადახაზულია:

დაშრა! რაღაცა კარგზე
ტყემლის ქანაობს ლანდი,
დეკადენტი და მარქსი,
მოდერნისტი და კანტი.

## ***იმ ერთა ლიგას მოხსნეს კარები (გვ. 180)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3551 (B); 28897-50, გვ. 8 (C).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 16 (D); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 16 (A).
**სათაური:** ძველი კარები მოხსნეს, ახალი არსადაა* B; კარები C.

**1** იმ... კარები] ევროპას მოხსნეს კარები ძველი C. **2** რკინის] ხავსის* B. **4** სადღაც... ძველი] დაღლილი მრავალ გადამგზავრებით B. **5** გაბრაზებითა... გაჯავრებით] – B. ამ სტრიქონის შემდეგ B-ში ემატება:

მართალი არის მოხსნეს, წაიღეს ძველი კარები, მუხის კარები
და მოიტანეს ძვირფასი ბაღის მცველათ ახალი ნაკაფარები.

**6** მაგრამ ახალის] ამ ახალისთვის C. **6-7** აბა... დაკიდებისთვის] მაგრამ ახალი, იმის მაგიერ, რომ დაეკიდნათ B. **8-9** ისიც... ისიც]

წნელებითა და სარებით ნაფერ ღობეს B. **10-13** ერთა... მამაძაღლი]

> რა სამწუხარო არის ამბავი, რა გულსაკლავი, რა უცნაური,
> მოუვლელობით აოხრდა ბაღი, – ამბობდა რტოთა აურზაური.

**ერთა ლიგა** – იხ. კომენტარი ლექსისა „***იყო ადვილი წარმოსადგენი“ (გვ. 418).

## ***ქსენძიც ამბობდა... (გვ. 181)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3551 (B); 28897-50, გვ. 8 (C).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 16 (D); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 16 (A).

**სათაური:** რას ჰქადაგებდა მატყუარა? B. ვარსკვლავთა ზევით C.

**1** ქსენძიც ამბობდა] იქ ქადაგებდა* B] პატერი ამბობს B] ერთიც ამბობდა C. **4** თავბრუდამხვევი] თავბრუ დამსხმელი B; ოცნება + მომჯადოები B, ხოლო C-ში + და მშვენიერი. **6** იყოო] ყოფილა B. **7** იმ] ამ B. **8-9** რომ... ვდნებითო] ქვეყნად რომ ვართ, იმიტომ ვდნებით კვალგადაუშლელ B. **10** გავცილდებითო] გადავცილდები B. **12** გავა... მწუხარება] წავა, გაქრება ეგ სიმწუხარე B; გავა] წავა C. **14** ჰპოებსო] კვლავ ჰპოებს B. **17-18** არ... ვარსკვლავებს] ვარსკვლავთა ზევით არის ის მხარე, მოვალთ და მივალთ ვარსკვლავთა B. **17** არც ომში] არრაგვარ C. **18** ვარსკვლავებს] ვარსკვლავთა C. **19** ქსენძმა] ქსენძმაც C. **19-24** ამგვარად... მატყუარა] – B. **20** დიდხანს] ბევრი C. **22** ვთქვი] ვსთქვი C.

**ქსენძი** – კათოლიკე მღვდელი პოლონეთში.

## იქაურ გულსაც დახედა დრომა (გვ. 182)

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 16 (B); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 16 (C); თხზულებანი, II, 1935, გვ. 403 (A).

**სათაური:** – CD.

### ***თეთრი იძახის: ჰოი, რუსეთი! (გვ. 182)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 2368 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 17 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ.17 (A).

**სათაური:** მარჯორ პოლიტი B.

**სათაურის ქვეშ:** Salut!

„Salut delegues Comintern
Aux solautus de la revolusion
Communiste mondiall“.

შახტებს გაზეთის მისალმებიდან.
6 სექტემბერი, 1928 წ.

ლექსის დასაწყისში B-ს ემატება:

შენ მოგეგება მთელი დონბასი,
მხურვალე გულით, ხმობით.

**1** თეთრი... ჰოი] ჩვენ მოვიარეთ მთელი* B] თქვენ გაიძახით მხოლოდ* B. **2** რაა... ფასი] კრემლი, დონბასი* B. **3** მკვიდრს... ახსოვს] არაბს ახსოვდა* B; მკვიდრს] ზანგს* B. **4** სწამს მხოლოდ] და თავის* B. **5** სჩანდა] ჰქუხდა* B. **6** ტრიბუნა ბრძოლით] მარჯორ პოლიტი* B. **9** კი... იმისი] აურაცხელი ჩემს გულში მისი B. **11** გათამამება] ამხანაგებო* B, გათამამება + ფაშისტები B.

ხელნაწერს ბოლოში ემატება სამი სტრიქონი, რომელიც გადახაზულია:

და გარეშემო ეხვევა მარჯორს,
დიად მსოფლიო რევოლუციის
გზას გაუმარჯოს!

ამ ლექსთან დაკავშირებით სხვა მასალა იხ.: სგ, XIII, გვ. 339-344.

**მასაჩუსეტსი** – შტატი აშშ-ში.

**ბოლიდი** – დიდი, კაშკაშა ვარსკვლავი.

**აეროლიტი** – ქვის მეტეორიტი.

## ***ევროპაში რომ მუშა და ვაჭარი... (გვ. 183)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1953 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 17 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 17 (A).

**1** ევროპაში] სად მომხდარა B. **2** რომ მუშა] პოეტი* B. **3-4** მიდიოდნენ... ქუჩით] მიდიოდენ შეთანხმებულ შარითა B. **7** დახლით] ჩოთქით B. **8** ჩაქუჩით] ქნარითა* B. **12** პკურება] ბგურება B. **16** სხვების] ხალხის* B] მამის B. ამ სტრიქონის შემდეგ B-ში ემატება:

> და პარიჟი[1], ძველისძველი ქალაქი,
> კაფეებში[2] არ გრძნობს უზრუნველობას.
> რად არის ეს, რომ ყოველი დალაქი
> ჩვენს თავებზე სწავლობს თავის ხელობას?
> – უკაცრავად, თქვენ მეზურნე იქნებით[3].
> – საიდან ჩანს ჩემი მეზურნეობა?
> – ლოყებისგან, განა სწავლით? წიგნებით?
> – ლოყებისგან სჩანს მეზურნის ზნეობა.
> ამიხსენით, განა ცუდი[4] რამ არის
> თურინჯის ხით გაკეთებულ ზურნებით,
> შორით, ზურნით დაძახილი საჰარის –
> დამერწმუნეთ, მოხვალ, განიკურნები[5].

ამ სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია: „ჰაზირებით და სხვა საათნოვებით“. **17-18** ამბობს: ეხლა აღელვებულ] ო, ჩემს გამო რა დააცხრობს B. **19** რა დააცხრობს] როცა ხედავს* B.

## ***მთებს გახედავ: სიზმარია (გვ. 184)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3937-3939 (B); 622-დ. გვ. 3577-3589 (C).

---

[1] იყო: ჩვენი ძველი.

[2] იყო: ბაიათზე.

[3] იყო: შენ მეზურნე ხომ არ ხარ.

[4] იყო: მერე რა ბრგე, სასიამო.

[5] იყო: ყველა განიკურნებით.

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 17 (D); „პაციფიზმი“ 1930, გვ.17 (A).

**სათაური:** შვეიცარია B; აღმოსავლეთის მოტივებიდან* D; ხალხური მოტივებიდან D.

**თარიღი:** 1927 B.

**1-6** მთებს... ორის] – C. **2** და სიზმარიც] გახსენებით* B; მწარეა] მწარეთი* B. **4** შვეიცარია] საზღვარგარეთი* B. **9** ლიგაც] მეფეც C. **12** რა] – C. **14** ვერაფერს] თავადი* C. **15** ჩვენი მღვდელიც] პაპის პაპა* C] ჩვენი დედაც C. **16** ლიგა] მეფე C. **17** რწმენისა] რწმენიდან C. **19** არ ანთია] ჩვენ ვკითხავდით* C. **21** ჩვენი] თანაც C; აზნაურის] თავადების* C. **23** თქვი] სთქვი B; მოუმართავს] ხშირად მწარედ მომმართავდა* C] მოგიმართავს C. **28** აგრე როდი] ვთქვათ დიდხანს არ* C. **29** აგერ] აგრე A. **37** მიწა] კუბო C] მიწა* C. **43** არა ვზიდე] არ აზიდა C. **44** არ ვათიე] არ ათია C. **45** მისგან] ვინმეს* C] ბატონების* C. **50** არსად პასუხს ~ C. **66** სტვირს] ზურნას C. **73** თესლი] თესლიც C. **89** ყოველივეს] ყველაფერი C. **102** ნესვია +

მემამულე მკაცრია,
მემამულე ცხარია,
ეხლა ცხვარში გასწიე,
უმწყემსო რა ცხვარია? C.

**118** ვირით] ვირზე* C] ჯდომა* C; მოგზაურობა +

მთაზე თოვლის გადნება,
მწვანე დაიჟურება,
მთიდან დაბლა ღვარი მოდის,
ჯოგი მთას ეშურება C.

**119** ყველაფერი] ყველა მხოლოდ C. **122** თავისი +

გინდა ლურჯი დღე იყოს,
გწვავდეს სიცხე ბაშარის,
სანამ არ წაიქცევი
დასვენება არ არის C.

**125** მემამულე] „იარაღი“, „მემამულე“* C. **131** რომ] – C. **133** მატყლს] თმას C. **138** ადგება +

თავადს ჰკითხეს: ზეცამდე თუ
შეგიძლია აწევა?
– ავიწევი, თუ რომ ღვინოს
დროზე შემომაწევო C.

**141** მეგობრობას იმისას] მებატონის ტკბილ* C. **142** სჯობია +

ისევ შენივ მსგავსთანავე
შეძახ-შემოძახება,
ისე ტკბილი ყოფილა
როგორც სისხლის აღება C.

**150** ამგვარი +

შეჯიბრება რომ სთხოვო
მას ძალღონის გაცვლაში,
იგი უმალ გაგიწვევს
თქვენ ყანწების დაცლაში C.

**151** ასეთია... მხარე] თუ ქვეყანა აირია C. **156** მონობის] შენების C. **157** მაინც... წყობილება] აგერ მთაზე ნარიყალა C. **165** ერთა ლიგაც მაგათი] იმიტომ რომ მისთვის რომ* C. **166** მფარველია] დამცველია C; დამცველია +

რატომ უნდა მეშინოდეს
თვითეული ძაღლისა,
სოფელმა რად დააყენა
იგი მამასახლისად?

მოვა, აღარ მომეშვება
მწარე-მწარე კითხვებით,
წყალი ცეცხლით ადუღდება,
კაცის გული, – სიტყვებით.

ვაშა იმას, ვისიც მზე
სოფელს გადადნობია,
სახელის გატეხას ხომ
დაბრმავება სჯობია[1].

---

[1] „სჯობია“-ს წინ გადახაზულია „მერჩია“.

ვის რა ვირი მოვპარე,
ან ვისი რა მმართებდა,
მე რომ ჩემს თავს დავმართე,
ვერვინ დამამართებდა C.

**167** მაგრამ იცი] ხომ გინახავს C. **169** ასი ნიაღვარი რომ] მთის ასი ნიაღვრები C. **175-178** სტრიქონები (მაშინა... იყავი) მიწერილია C-ს verso-ზე. 182 უსწრაფესია +

მდინარეზე ძველი ბადით
სათევზაოდ წაველი,
აქეთ ქარით, იქით ნადით
შრიალებდა თაველი.
მაშინა თქვი, თუ მტერი
დარჩეს გაურიყავი,
მალე განადგურდება
შენ გულმაგრად იყავი C.

**183-188** მალე... შვეიცარია] – C.

**გლეტჩერი** – ყინულის მასა, რომელიც მთებიდან თანდათან ეშვება ქვევით, დაბლობებში; იგივე, რაც მყინვარი.
**ერთა ლიგა** – იხ. კომენტარი ლექსისა „***იყო ადვილი წარმოსადგენი“ (გვ. 418)

## და სისინებდენ, სისინებდენ ჩალის ღერები (გვ. 189)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1959 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 19 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 19 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 405 (A); რჩეული, 1959, გვ. 551 (E).
**სათაური:** შეხვედრა ვეფხვთან B; – CD.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია: წრეულს ზამთარში გავიარე ყვითელი ჭალა. **5-6** ვრცელ... ვრცელი] მე გავიარე უდაბური ჩვენი ჭალები* B] ჩვენს ტრანშეებთან ძლიერი იყო B. **8** სისინებდნენ] სისინებდენ B. **10-11** სტრიქონებს (ღერები... გარეულ) შორის B-ში გადახაზულია:

მზის ჩაგორებას ედო ფერი უცხო სურნელის,
მე მიმყვებოდა ალისფერი ძაღლი ბათურა.

**11** გარეულ იხვზე] კურდღელთ ნაკვლევზე* B. **13** სდუმდა] ყეფდა B; დასერილი] დასერილნი B. **14** ჩალის] ყვითელ* B. **17** სულ სისინებდნენ] სალამურებად* B; სისინებდნენ] სისინებდენ B. **21** იყო] მახსოვს* B; ველი] ჩალა B. **23-24** მომაკვდავის, განუკურნელის] ყაზიბეგის და გურიელის* B] დოსტოევსკის და გურიელის* B. **25** ნერვიულობდნენ] გიორგობისთვის* B. **27-32** სტრიქონები B-ში წარმოდგენილია ამგვარად:

მე[1] დავინახე ვეფხვის ლეკვის[2] იქ თამაშობა,
მე[3] არ ვესროლე და პირიქით მას[4] ვეფერები,
მე გამახსენდა დიდებული[5] ჩემი ბავშვობა* B.

**30** ეფერები] ვეფერები B. **33** სისინებდნენ, სისინებდნენ] მშვენიერი, მშვენიერი* B] საცოდავი, საცოდავი* B] სისინებენ, სისინებენ B.

### მიწის თხრაში მთიელს ვერვინ სჯობნის (გვ. 190)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 70 (B).
**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1930, №1, გვ. 20 (C); „პაციფიზმი“, 1930, გვ. 20 (D); თხზულებანი, II, 1935, გვ. 407 (A).
**სათაური:** სვანები მიწას სთხრიდენ, ბალლადა B; – CD.

**3** მთებო] უშბა* B] მთების B. **5** ღვარით] ცვარით* B. **6** მოიღვარა] მოიცვარა* B; ზვარი] ცვარი* B. **7** ორთქლავს] ღელავს B. **9** მინდვრებიდან] ღორღებიდან* B. **10** აიზიდა] იწურება* B. **13** გაშუქება] სიხარული* B. **14** ყოფნის] ჰყოფნის B. **18** მთიელს ვერვინ] სვანს ვერავინ* B] მას ვერავინ B; სჯობნის] ჯობნის B. **20** საძირკვლისთვის] საძირკვლისთვის* B] სამარისთვის B. **21** უნდათ] უნდა B. **22**

---

[1] იყო: რა.
[2] იყო: მგლის ლეკვები.
[3] იყო: რად.
[4] იყო: მათ.
[5] იყო: უდარდელი.

გაიყვანონ: არი] გაითხარონ მყარი* B; არი] მყარი* B. ამ სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

> ვაზების და ხეხილების ლილა,
> იქ ჩაჰყარე, სადაც მზეა მტკბარი.

**23** ჩაყრა] ჩაჰყრა* B. **24** ცხრილვა] ლილა* B. **25-26** არხების... გვირაბების] არხებისთვის გზისმიმკვლევი* B. **27-28** პაციფიზმის... ბარი] თვით სამარის გათხრაშიაც მხარი* B. **28** სამარისთვის] სამარეზე B. **31** დაუნდობლად] ხოჩალადე B. **32** მიდის] მოდის B; მთელი] ჩვენი* B. **34** მთიელს ვერვინ] სვანს ვერავინ* B] მას ვერავინ B. **34** არქეოლოგს] არხეოლოგს + მათ B. **36** ხელთ... წყვილი] ხელში ჰქონდა თითო* B; აქ „თითოს" ნაცვლად ყოფილა „თლილი". **38** მკვდარი] ტარი* B. **39-40** მან... შლილი] ამ ოქროზე, სთქვა მან, არ წაშლილა* B. **40** წაიკითხა შლილი] დაინახა ლილა* B. **41** ათასი] რამდენი* B. **42** ათასი] რამდენი* B. **43** სთქვა] თითქო* B; მესმისო] მესმის* B. **45** შორეულზე] ძველისძველი* B. **47** სვლაში] თხრაში* B. **50** მთიელს ვერვინ] სვანს ვერავინ* B] მას ვერავინ B. **51** პაციფიზმის] მოღალატის C. **51-54** პაციფიზმის... ყოფნის] სვანის ქალიც, თვით ენგურის დარი, ჰკეცევს გუდას თუ ქალამანს ჭოპნის B. „სვანის" ნაცვლად B-ში პირველად ყოფილა: „ჩვენი", ხოლო „თვით ენგურის" ნაცვლად „თვით ნიავის". **55** ჩვენ კი ვამბობთ] გაიმღერის B. **58** მთიელს ვერვინ] სვანს ვერავინ* B] მას ვერავინ B. „მას" ნაცვლად B-ში ადრე ყოფილა „სვანს".

**ბიზანტია** – აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელმაც არსებობა დაამთავრა XV საუკუნეში, 1453 წელს.

**ჩობანი** – მწყემსი.

## რადიო (გვ. 192)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8816-8817 (B).

